ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

გვანცა ბიბილური

,,მოდის პოლიტიკური ენა და მისი ეფექტები''

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
მოწვეული ლექტორი

თბილისი
2023

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს მოდის ინდუსტრიის პოლიტიკურ ენას და მათ შესაძლო კორელაციის ხარისხს თანამედროვე სამყაროში. წარმოადგენს რა მრავალმხრივ ინდუსტრიას მოდა ადამიანის ცხოვრებაში კრიტიკული როლის შემსრულებელია. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ პოლიტიკა როგორც ადამიანის ცხოვრების აუცილებელი ნაწილი და მისი ერთგვარი შემოქმედი, ცვლილებების განხორციელებისათვის და ეფექტური პოლიტიკის წარმოებისათვის ყველა იმ სფეროს იყენებს, რომელიც ადამიანის ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც ნახევრად-სტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუს გულისხმობს იმ ადამიანებთან, რომლებიც საქართველოში მოდის ინდუსტრიასთან არიან დაკავშირებულნი. საბაკალავრო ნაშრომში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო დოკუმენტებს და წყაროებს, რომლებიც მოდის პოლიტიკური ხასიათის/ენის ანალიზს ეძღვნება. ნაშრომი ცდილობს დაამტკიცოს დაშვებები, რომ თანამედროვე მოდის ენა გამოხატულია მის უნარში გახდეს ტრანსფორმაციის წყარო და, რომ მას პოლიტიკურ პროცესებზე გარკვეული ეფექტი გააჩნია. საბაკალავრო ნაშრომი ორიენტირებულია აჩვენოს პოლიტიკის კომპლექსურობა და ცდილობს იმის წარმოჩენას, რომ პოლიტიკა არ არის მკაცრად კონტროლირებადი ფენომენი, რომელშიც განსხვავებული ინდუსტრიის არსებობა შეუძლებელი ან უცხოა. საბაკალავრო ნაშრომის სიახლე თავად ის შინაარსია, რომელიც მას საფუძვლად უდევს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი, იშვიათად თუ შევხვდებით მოსაზრებას, რომ მოდას პოლიტიკური ბუნება გააჩნია და აქვს შესაძლებლობა იყოს პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

საკვანძო სიტყვები: მოდის ინდუსტრია, დემოკრატიის თეორია, ღირებულებები, ხელოვნების ინსტრუმენტალიზმი, გლობალური ინდუსტრია, საქართველო.

სარჩევი

შესავალი **4**

თავი I. მოდა და პოლიტიკა: თეორიული საფუძვლები **12**

1.1 მოდა და პოლიტიკური თეორია 12

1.2 მოდა, როგორც პოლიტიკური სემიოტიკის საგანი 17

1.3 მოდა, ომი და ტერორიზმი 18

თავი II: მოდის ინდუსტრია და პოლიტიკური პროცესი **22**

2.1. მოდის ინდუსტრია თანამედროვე სამყაროში 22

2.2. მოდის ინდუსტრია და სამოქალაქო აქტივიზმი 24

2.3 დიზაინერების პოლიტიკური კოლექციები 26

თავი III. მოდის პოლიტიკური ბუნება და საქართველო **30**

3.1. მოდის პოლიტიკური ფუნქცია 30

3.2. მოდის ინდუსტრიის პოლიტიკური ხასიათი საქართველოში 33

დასკვნა **37**

გამოყენებული ლიტერატურა: **40**

დანართი N1 ..... **45**

შესავალი

ადამიანები საკუთარ ეთნიკურობას, რელიგიურ მრწამსს, კულტურულ და პოლიტიკურ მიკუთვნებულობას, სოციალურ აფილიაციას, პროფესიას და სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებს ტანისამოსის საშუალებით გამოხატავენ (Vrencoska, 2009). ტანსაცმელი წარმოადგენს ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებას, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის გულწრფელად და მაქსიმალური სინამდვილით გამოხატვის საშუალებას აძლევს. საუკუნეების განმავლობაში მოდა იყო ადამიანის სოციალური კლასის გამომხატველი და სწორედ ამიტომ, ის ხშირად ხდებოდა საბაბი საზოგადოებაში შუღლის გაჩენის (Miller, 2005). ,,... კართან ვიხდი დღის ტანსაცმელს, ჭუჭყიანს და ტალახიანს, და ნამდვილ და დახვეწილ სამოსს ვიცვამ...''- წერს ნიკოლო მაკიაველი წერილში, რომელიც ფრანჩესკო ვეტორის მიწერა (Machiavelli, 1513). ნიკოლო მაკიაველის წერილის ეს მონაკვეთი მიუთითებს, რომ ადამიანებისთვის ტანისამოსი ოდითგანვე მნიშვნელობის და შინაარსის მატარებელი იყო. განსხვავებულ გარემოებებში ადამიანები განსხვავებულად იმოსებოდნენ. ვინ იყო ან რას წარმოადგენდა ადამიანი მისი ტანისამოსის საშუალებით იგებდნენ. მაჰათმა განდიმ იმისათვის, რომ ინდოეთში მცხოვრები ღარიბი ადამიანებისათვის საკუთარი სოლიდარობა გამოეხატა გადაწყვიტა მათნაირად მხოლოდ წელზე შემოსახვევი ნაჭერი ჩაეცვა. მისი აზრით, მათნაირად ჩაცმა იყო მხარდაჭერის გამოსახატად ყველაზე კარგი გზა (Balakrishnan, 2016). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ტანსაცმელი უდავოდ ატარებს სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. მოდა, ისევე როგორც პოლიტიკა ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ისინი ადამიანის ყოველდღიურობას და ზოგადად ყოფას მნიშვნელოვნად განაპირობებენ. პოლიტიკა ეს არის სფერო ადამიანებისთვის, რომელიც იქმნება ადამიანების მიერ. სწორედ ეს აკავშირებს მას მოდასთან, რადგან ისიც იგივე ფუნდამენტზე ნაშენები ფენომენია, რომელიც საკუთარ თავში გარკვეულ პოლიტიკასაც მოიაზრებს. მოდას შეუძლია დიალოგის წამოწყება პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე, სწორედ ეს დიალოგია დემოკრატიული კულტურის ნაწილი (Miller, 2005). მოდის ისტორია (მიუხედავად იმისა, რომ მოდა, როგორც ფენომენი სულ რამდენიმე საუკუნეა არსებობს), ისევე როგორც პოლიტიკის, არსებობს იმ დროიდან,

როდესაც ადამიანი გაჩნდა. შესაბამისად, ის ხანგრძლივ პერიოდსა და მრავალფეროვან მოვლენებს მოიცავს. მოდა, ისევე როგორც პოლიტიკა, გავლენას ახდენს ადამიანებს შორის ურთიერთობაზე, თანასწორობაზე, ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმაზე და საზოგადოების წევრებს შორის სოლიდარობის ხარისხზე (Miller, 2005). სწორედ ეს ღირებულებები აერთიანებს ორ თითქოს განსხვავებულ, მაგრამ მსგავს ფენომენებს. მოდის ინდუსტრია ყოველთვის განიხილებოდა ეკონომიკასთან კავშირში და ის მოხსენებულიც არის, როგორც კაპიტალიზმის ,,საყვარელი ბავშვი'' (Esther, 2018). შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში მოდა ისევ კაპიტალიზმის ერთ-ერთ ფუძეს წარმოადგენს, რადგან მისი ფინანსური წილი, 2019 წლის მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში $2.5 ტრილიონს შეადგენს (Maloney, 2019). აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ დღესდღეობით მოდა იმაზე უფრო მეტად მრავალმხრივი და **აქტუალურია,** ვიდრე წარსულში. მოდის ინდუსტრიის აქტუალურობა და სიძლიერე ძალიან კარგად ჩანს თანამედროვე პოლიტიკოსების ტანისამოსში. ისინი საკუთარი იდეალების დასამტკიცებლად/გამოსახატად ხშირად იყენებენ ტანსაცმელს. კვლევისათვის **სიახლეს** წარმოადგენს თავად მოდის პოლიტიკური ბუნების და ენის ანალიზი, იმის წარმოჩენა, რომ მოდას აქვს გარკვეული ეფექტი პოლიტიკურ პროცესებზე და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მისი, როგორც სოციალური მოვლენის ადგილი ნამდვილად არის პოლიტიკურ სამყაროში. ჰილარი კლინტონს 2016 წლის არჩევნების კამპანიის დროს ყოველთვის ეცვა შარვალი და პიჯაკი, რითიც მის მხარდამჭერებს საშუალება მიეცათ დაეწყოთ შეკრებები, სადაც ყველა მისნაირად იყო შემოსილი, რაც, რა თქმა უნდა, მის მიმართ მხარდაჭერაზე მიუთითებდა (Delgado, 2018). ამავე წლის არჩევნებში მონაწილეობდა დონალდ ტრამპი, რომლის წითელი ქუდი წარწერით ,,გახადე ამერიკა ისევ შესანიშნავი'' ერთ-ერთ ყველაზე განხილვად ნივთს წარმოადგენდა (Delgado, 2018). ალექსანდრია ოკაზიო-კორტეზი, ამერიკელი პოლიტიკოსი, ერთ-ერთ გალაზე, რომელიც მოდის აღნიშვნასა და ამ ინდუსტრიას ეძღვნება გამოჩნდა კაბით, რომელზეც შემდეგი წარწერა ჰქონდა დატანილი, ,,დაბეგრე მდიდრები'' (Karni, 2021). მოდის და ქალების უფლებების ურთიერთობა განსაკუთრებულია, რადგან ქალები წარსულიდან მოყოლებული დღემდე ძალიან აქტიურად იყენებენ მოდას საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატად. მაგალითად, 75-ე

გრემის დაჯილდოების ცერემონიალის წითელ ხალიჩაზე ყველა ქალი შავი სამოსით გამოჩნდა, რაც ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის და თანასწორობის იდეას უკავშირდებოდა (Delgado, 2018). აქტუალურობაზე ისიც მიუთითებს, რომ დიზაინერები საკუთარი კოლექციების ჩვენებისას, სხვადასხვა გზებით ახერხებენ პოლიტიკური გზავნილების საზოგადოებამდე მიტანას. ვივიან ვესტვუდი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თანამედროვე დიზაინერია, რომელიც თავის კოლექციებში ადამიანებისათვის და პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების ჩვენებას არ ერიდებოდა (Council B. F.). ჯონ გალიანოს კოლექცია, რომელიც პარიზში მცხოვრები უსახლკარო ადამიანებით იყო შთაგონებული (Rosa, 2019), ბალენსიაგას 2017 წლის კოლექცია, რომელიც ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბერნი სანდერსის კამპანიის იდენტურია და ვერსაჩეს შავი ფერის კოლექცია, რომელიც სამყაროში არსებულ ,,ბნელ დღეებს'' გამოხატავს, მიუთითებს, რომ პოლიტიკა და მოდა დღეს იმაზე მეტად არიან დაკავშირებული, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა (McCarthy, 2017). შესაბამისად, დღესდღეობით მოსაზრება, რომ პოლიტიკა გამოხატულებას პოულობს მოდაში და პირიქით, მოდაში პოლიტიკა რელევანტური და აკადემიური სივრცისთვის საინტერესოა.

კვლევის მიზანია შეისწავლოს და გაანალიზოს მოდის პოლიტიკური ენა და მისი ეფექტების ძირითადი თავისებურებები. კვლევის მიზნის შესაბამისად, **კვლევის ამოცანებია:** ა) მოდის პოლიტიკური ხასიათის შესახებ არსებული აკადემიური წყაროების მოძიება და ანალიზი; ბ)საკითხის მაქსიმალურად სრულყოფილად შესწავლისა და წარმოჩენისათვის სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება, საქართველოს ფარგლებში იმ ადამიანებთან, რომლებიც დღესდღეობით დაკავშირებულნი არიან და აქტიურად მოღვაწეობენ ამ სფეროში; გ) თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების და დოკუმენტების ანალიზის შემდგომ, იმ შედეგების ჩამოყალიბება და გაანალიზება, რომლებიც კვლევის შედეგად მივიღეთ. **კვლევის ობიექტს** თითოეული ის ნაშრომი და წყარო წარმოადგენს, რომელიც ეხება მოდის ინდუსტრიის პოლიტიკური გამოვლინებების/პოლიტიკური ენის ანალიზს. ამასთან, კვლევის ობიექტია საქართველოში მოდის ინდუსტრიაში მოღვაწე ექსპერტთა შეხედულებები და მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები.

იმისათვის, რომ კვლევის მიზანი იქნას მიღწეული გამოიყოფა **კვლევისათვის მნიშვნელოვანი ორი საკვანძო კითხვა:** 1. როგორია თანამედროვე მოდის პოლიტიკური ენა? 2. რა ძირითადი ეფექტები აქვს მოდას პოლიტიკურ ცვლილებებზე?. ნაშრომში მოცემულია შემდეგი **დაშვებები:** ა) თანამედროვე მოდის პოლიტიკური ენა ინსტრუმენტული და მატრანსფორმირებელი ხასიათისაა; ბ) მოდის ეფექტი პოლიტიკურ პროცესზე გამოიხატება დიზაინერების მიერ შექმნილი კოლექციებით, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ნაირსახეობით.

რაც შეეხება ცვლადების **კონცეპტუალიზაციას** და **ოპერაციონალიზაციას**, დემოკრატია კონცეპტუალიზდა, როგორც ადამიანებისთვის თავისუფალი არჩევანის, თანასწორობისა და ინდივიდუალიზმის დაცვის მექანიზმად. დემოკრატიის კონცეპტუალიზაციისთვის გამოვიყენე ჯოშუა მილერის მიერ შექმნილი ნაშრომი, სადაც ის დემოკრატიას მოიხსენებს, როგორც მოქალაქეებში საერთო ქმედების მამოტივირებელ ძალად, თავისუფლების და თანასწორობის იდეალად (Miller, 2005). ხელოვნების ინსტრუმენტალიზმის თეორიის კონცეპტუალიზაცია ეყრდნობა ჯონ დიუის მიერ ამ ფენომენის განმარტებას. მისთვის ხელოვნების ინსტრუმენტული ფუნქცია გამოიხატებოდა მანიპულაციაში, რომელიც საწინდარია ხელოვნების ნიმუშის მიერ მოქმედების სურვილის გაჩენისა (Bugaeva, 2007). ჯონ დიუის მიხედვით, ხელოვნების ფუნქცია არ არის მხოლოდ ესთეტიკური სილამაზის შექმნა, არამედ გამდიდრება ადამიანების პერსპექტივისა და ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალებებისა (Bugaeva, 2007). მოდის კონცეპტუალიზაცია შეიძლება სხვადასხვა მრავალფეროვანი განმარტებების და მეთოდების გამოყენებით, რადგან ის დაკავშირებულია სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებთან. თუმცა, კვლევისათვის საჭიროდ მივიჩნიე, მოდის კონცეპტუალიზაცია მომეხდინა, როგორც ადამიანის ინდივიდუალიზმის და საკუთარი ღირებულებების, შეხედულებების გამომხატველ საშუალებად (Finkelstein, 1998). იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომის მთავარი მიზანია გაანალიზოს თუ როგორია მოდის პოლიტიკური ენა, ცნებების ოპერაციონალიზაციისთვის საჭიროა ვიკვლიოთ ის დოკუმენტები და სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც მოდის პოლიტიკურ გამოხატულებებზე მიუთითებს. დიზაინერების

სამოქალაქო აქტივიზმის ხასიათი განიმარტება, როგორც დიზაინერების მიერ სოციალური, ინსტიტუციური ცვლილებების მოხდენის მიზნით, შესაბამისი ტანისამოსის და მეთოდების გამოყენება კოლექციების შექმნისას (Mazzarella, 2022). მოდის ინსტრუმენტული და მატრანსფორმირებელი ხასიათი ვლინდება ხელოვნების ინსტრუმენტალიზმის თეორიაში (Bugaeva, 2007). მოდის ინტრუმენტული ფუნქცია გულისხმობს მის უნარს გახდეს წყარო პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილებისა.

საბაკალავრო ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია დემოკრატიის თეორია და ის ძირითადი ღირებულებები, რომელსაც ეს მმართველობის ფორმა გულისხმობს. ხოლო, დამხმარე თეორიულ ჩარჩოდ ესთეტიური ინსტრუმენტალიზმის თეორია, რომელიც ხელოვნების ნიმუშს საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის ფუნქციას აწერს. ინსტრუმენტალიზმის მიმდევრებისათვის ხელოვნება ბევრად უფრო მნიშვნელოვან ღირებულებას ატარებს, ვიდრე მხოლოდ ესთეტიკური სილამაზეა (Barrett, 1994). პლატონს მიაჩნდა, რომ ხელოვნება, რომელიც სიკეთის მომტანია სოციუმისთვის აუცილებელია შეიქმნას (Barrett, 1994). ლენინს ხელოვნება მიაჩნდა სოციალურ ინსტრუმენტად და პოლიტიკური დამოკიდებულებების შემქმნელად, ხოლო მის ფუნქციად, სოციალური ცვლილებების თუ კეთილდღეობის მოტანა (Barrett, 1994). თანამედროვე ხელოვნებაში ინსტრუმენტალიზმს კრიტიკული ადგილი უკავია და ის პოლიტიკური აქტივიზმის გამომხატველია. ინსტრუმენტალიზმის ფუნდამენტური იდეა ისაა, რომ ხელოვნების ნიმუშს შეუძლია ადამიანებს უბიძგოს, შთააგონოს ცვლილების სურვილი, მათში გამოიწვიოს ემოცია, გრძნობა და მოქმედების სურვილი (Barrett, 1994). მოდა, რომელიც ადამიანს უსიტყვოდ ესაუბრება პირდაპირი გამომხატველია ხელოვნების ინსტრუმენტალისტური მიმდინარეობის. ლეო ტოლსტოისათვის ხელოვნება წარმოადგენდა ძალას, რომელიც ავლენდა ყველაზე ამაღლებულ ეთიკურ ქცევას. ამრიგად, სხვადასხვა ფილოსოფოსები, რომლებიც ხელოვნების ინსტრუმენტალიზმის იდეას ემხრობიან, მის მთავარ გამოვლინებად საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას მიიჩნევენ. დემოკრატიული იდეალის თანახმად, მოქალაქეები პოლიტიკურ გაერთიანებაში ცხოვრობენ და მოქმედებენ ერთად, საერთო მიზნისათვის. მოქალაქეებს ამ მმართველობის

შემთხვევაში ეძლევათ საშუალება გავლენა იქონიონ სხვადასხვა სახელმწიფო ერთეულებზე. დემოკრატიისთვის ფუნდამენტური როლი აქვს მოქალაქეების ერთმანეთთან დამოკიდებულებას და თანაგრძნობის განცდას. აქედან გამომდინარე, მოდა, რომელიც ასოცირებულია ინდივიდუალიზმთან, ელიტარულობასთან საინტერესოა თუ როგორ ახერხებს ან ახერხებს თუ არა ხელი შეუწყოს მოქალაქეებს შორის ზემოთ ხსენებული ღირებულებების გაღრმავებას (Miller, 2005). დემოკრატიის ძირითადი ღირებულებები, რომლებიცაა თავისუფალი სიტყვა, მოქალაქეების საერთო მოქმედება, სოლიდარობა და თანასწორობა, ასევე კრიტიკული მნიშვნელობისაა მოდისთვის (Miller, 2005). ელისონ ლური საკუთარ ნაშრომში ,,მოდის ენა'' შემდეგნაირად აჩვენებს მოდის და თავისუფლების ურთიერთკავშირს- ,,მოდა არის თავისუფალი სიტყვა, და ერთ-ერთი პრივილეგია, სიამოვნება თავისუფალი სამყაროსი'' (Miller, 2005). პლატონმა საკუთარ ნაშრომში ,,რესპუბლიკა'' დემოკრატიის გასაკრიტიკებლად მოიყვანა ტანსაცმლის მეტაფორა: ,,წარმტაცი, ანარქიული, ფერადი რეჟიმი...აჭრელებული მოსასხამის მსგავსად, დემოკრატია შემკულია ყველანაირი ხასიათის თავისებურებებით და შეიძლება გამოჩნდეს, როგორც ყველაზე ლამაზი...'' (Miller, 2005). ყოველივე ეს მეტყველებს, რომ დადებით თუ ნეგატიურ კონტექსტში ტანსაცმელი ყოველთვის ასოცირდებოდა დემოკრატიულ თავისუფლებასთან. თანამედროვე საზოგადოებაში მოდა წარმოჩენილი და აღქმულია, როგორც სუბიექტური საგანი თანამედროვე დემოკრატიისა (Durham, 2008). შესაბამისად, რელევანტურად მივიჩნიე კვლევის პროცესში თეორიულ საფუძვლად გამომეყენებინა იმ მმართველობის ღირებულებები, რომელიც დღესდღეობით მიჩნეულია საუკეთესოდ და მოდის შინაარსს ყველაზე უკეთ ესადაგება.

საბაკალავრო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე რელევანტურად მივიჩნიე **კვლევის მეთოდად** გამომეყენებინა **თვისებრივი კვლევის მეთოდები.** ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუს, რომელიც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად და შედარებით უფრო ნათლად გავიაზროთ ის ეფექტები, რომლებიც მოდის ინდუსტრიას ჰქონდა/აქვს პოლიტიკურ პროცესებზე. ინტერვიუები ჩატარდა ერთ ეტაპად მოდის იმ ექსპერტებთან და დიზაინერებთან, რომლებიც ნაშრომის

თემის შესახებ შესაბამის ცოდნას ფლობენ. შესაბამისად, კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ინტერვიუს ერთი გზამკვლევი (იხილეთ დანართი N1). საბაკალავრო ნაშრომში ასევე გამოყენებულია დოკუმენტების და სხვადასხვა აკადემიური წყაროების სიღრმისეული ანალიზი. კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისას გამოყენებულია განსხვავებული სტატიები, დოკუმენტები, ისტორიული წყაროები და სხვადასხვა წიგნების ცალკეული თავები. საბაკალავრო ნაშრომი ეყრდნობა, როგორც პირველად ისე მეორეულ წყაროებს.

ნაშრომის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე კვლევაში გამოყენებულია არაალბათური მიზნობრივი **შერჩევა.** კვლევაში 6 რესპონდენტი შეირჩა მიზანმიმართულად იმ რესურსების შესაბამისად, რომელიც საქართველოში ამ სფეროში ხელმისაწვდომია. რესპონდენტები არიან მოდის ექსპერტები და დიზაინერები, რომლებიც მოდის სფეროში აქტიურად მოღვაწეობენ და ქმნიან საკუთარ ნაშრომებს. კვლევაში გამოყენებული ყველა ინტერვიუ, გარდა ერთისა ჩატარებულია პირისპირ 2023 წლის აპრილის თვეში. საგულისხმოა, რომ ნაშრომში სრულად არის დაცული კვლევის ეთიკა. თითოეული რესპონდენტის აუდიოს ჩაწერა მოხდა მათი თანხმობის შემდგომ. ასევე, ტექსტში თითოეული რესპონდენტის ვინაობა დაფარულია.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე **შეზღუდვა.** ერთ-ერთი შეზღუდვა ეხება წყაროების და ნაშრომების სიმწირეს. გამომდინარე იქიდან, რომ მოდის ინდუსტრია ზოგიერთი მეცნიერის მიერ არასერიოზულად არის აღქმული, არ არის სიღრმისეულად შესწავლილი ის თუ რამდენად მჭიდრო კორელაციაში იმყოფებოდა/იმყოფება მოდა პოლიტიკასთან და ადამიანის ყოფასთან და როგორია მისი პოლიტიკური ბუნება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ტანსაცმლის სხვადასხვა ფორმით არსებობისა, მოდის, როგორც ფენომენის და ინდუსტრიის შესწავლა, მისი გავლენის/კავშირის დადგენა სხვა სფეროებთან სიახლეა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თემის ირგვლივ რთულია მრავალფეროვანი აკადემიური მასალის მოძიება. ასევე შეზღუდვა გამოიკვეთა მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლების მოძიებისას, რადგან საქართველოში რთულად მოსაძიებელია მოდის ექსპერტები ან ამ ინდუსტრიასთან

დაკავშირებული ადამიანები, რომლებიც კონკრეტულად მოდის პოლიტიკურ ეფექტებს იკვლევენ. ასევე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთმა მოდის ექსპერტთა ონლაინ გვერდმა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა პირისპირ ინტერვიუ და ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარს მხოლოდ წერილობითი პასუხები გასცა.

საბაკალავრო ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ყველა იმ მნიშვნელოვანი **ლიტერატურის მიმოხილვა,** რომელიც არსებობს მოდის და პოლიტიკის ირგვლივ. საბაკალავრო ნაშრომი მეტ წილად ეფუძნება ჯოშუა მილერის ნაშრომს ,,მოდა და დემოკრატიული ურთიერთობები''. ამ ნაშრომში მოცემულია ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მოდის საშუალებით განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას. სწორედ ეს ნაშრომი საუბრობს მოდის და დემოკრატიული ღირებულებების მსგავსებაზე. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯოანნა ფინკელსტენის წიგნს ,,მოდა: წარდგენა'', რომელიც მოდის ისტორიას და მის რაობას განიხილავს. ასევე საყურადღებო ნაშრომია ლესლი ესთერის ,,საზიზღარი, უშინაარსო მოდის კაპრიზები: მარქსი კაპიტალზე, მოდაზე და ტანსაცმელზე''. ამ ნაშრომში მოდის კავშირია ნაჩვენები კაპიტალიზმთან, რაც მის განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს. ვფიქრობ ფუნდამენტური ნაშრომია ასევე ლორენ ტოპორის ,,ომი და მოდა: პოლიტიკური ხედვა და სამხედრო სტილის გავლენა მოდაზე''. ეს უკანასკნელი განიხილავს სამხედრო ტანსაცმელს და მის გავლენას ყოველდღიურ ჩაცმულობაზე, რაც დასაბამს პირველი მსოფლიო ომიდან იღებს.

თავი I მოდა და პოლიტიკა: თეორიული საფუძვლები

1.1 მოდა და პოლიტიკური თეორია

მოდა მრავალმხრივ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ადამიანები ხშირად მას არასერიოზულად და უმნიშვნელოდ აღიქვამენ, თუმცა დროის ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთად უფრო მეტად აშკარა ხდება მისი როლი საზოგადოებაში. მოდა ყოველთვის იყო და იქნება ადამიანის ყოფიერების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად წარმავალ ფენომენადაა აღქმული (Corner). ადამიანებისათვის უმეტესად მოდა ასოცირდება დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში გაბატონებულ ჩაცმის სტილთან (მგალობლიშვილი, 2019). თუმცა, დღესდღეობით მოდა ადამიანის ცხოვრების თითოეულ ასპექტს მოიცავს და გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე, თვითიდენტობასა და ყოფაზე, ისევე როგორც პოლიტიკა. მოდა ძალიან მრავალფეროვანი ისტორიული წარსულით ხასიათდება და მისი შესწავლა საუკუნეების წინ დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მოდის თეორია საკმაოდ ახალია (მგალობლიშვილი, 2019). მას აქვს კომპლექსური ისტორია და კიდევ უფრო დინამიკური და განგრძობადი აწმყო. ,,მოდის ძალა პოლიტიკასა და საზოგადოებაში'' წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნაშრომს, რომელიც გვეხმარება მოდის ისტორიის და მისი მნიშვნელობის მაქსიმალურად სრულყოფილად გაანალიზებაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოდის მიმართ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ გულგრილ დამოკიდებულებაზე, მიუხედავად მისი აშკარა გავლენისა ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და საზოგადოებაზე (Lemire, 2010). პარადოქსულია, რომ თავად მოდის პოლიტიკური და აკადემიური მხარე საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ნაწილობრივ განიხილებოდა, თუმცა საკითხები რომლებიც მას გამოხატავენ პოლიტიზების საგანი იყო (Lemire, 2010). ნაშრომში ვხვდებით სოციალური მეცნიერის ჯორჯ სიმელის მოსაზრების განხილვას, იმის შესახებ, რომ მოდა პირწმინდად დასავლეთის პირმშოა და მისი წარმოშობა სხვაგან უბრალოდ ვერ მოხდებოდა (Lemire, 2010). მოდის შესწავლა ძირითადად ფილოსოფიის, ისტორიის, კულტურის, სოციოლოგიის და ეკონომიკის საგანი იყო (Edwards, 2011). სწორედ ზემოთ ხსენებული მიმართულებების საშუალებით ხსნის ტიმ ედვარდსი მოდას და მის

მნიშვნელობას ადამიანებისათვის. საინტერესოა, მისი მიდგომა მოდის ამხსნელ თეორიებთან დაკავშირებით. როგორც თავად ავტორი ამბობს, მოდის განსხვავებული კუთხით შესწავლა განაპირობებს ამ უკანასკნელის მნიშვნელობის განსხვავებული ვარიაციების არსებობასაც. ის გამოყოფს ხუთ მეთოდიკას, რომლებიც მოდას განსხვავებული კუთხიდან წარმოაჩენს. პირველი ეს არის კოსტიუმების ისტორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე თუ ვის რა ეცვა, სად და როდის და არა იმაზე თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ტანისამოსს. ეს არის უფრო მეტად ადრეული საუკუნეების დომინანტური შეხედულება, რადგან დაკავშირებულია ადამიანების კლასობრივ დაყოფასთან. ავტორის მოსაზრებით, ისტორიკოსების და მკვლევრების ორიენტირება ზემოთ ხსენებულ ფაქტორებზე პირდაპირ ნიშნავს მაღალი კლასის ადამიანების მიერ არჩეული ტანისამოსის განხილვას. აღნიშბული გამომდინარეობს იქიდან, რომ ადრეული პერიოდის დოკუმენტებში მხოლოდ ის ტანისამოსია ასახული/შესწავლილი, რომელიც მაღალი ფენის წარმომადგენლებს ეცვათ. მეორე მეთოდიკა დაკავშირებულია ხელოვნებასთან და კომერციასთან, რაც ისევ და ისევ კონცენტრირებულია მხოლოდ ტანისამოსის მექანიზმებზე და კომერციაზე და არა მის მნიშვნელობაზე. ორივე მეთოდი მნიშვნელობას ანიჭებს იმას თუ როგორ არის ტანსაცმელი შექმნილი და არა იმას, თუ რამდენად იწვევს მოდა, როგორც ფენომენი სოციალურ ცვლილებებს. მესამე მეთოდი არის დიზაინერების ეპოქის და მათი საქმიანობის შესწავლა, მეოთხე კი დაკავშირებულია ადამიანების მიერ საკუთარი იდენტობის წარმოჩენასთან, მოდის მეშვეობით. მეხუთე და ნაშრომისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიდგომა არის სოციალური მეცნიერების მიმართულება, რომელიც თეორიის საფუძველზე აანალიზებს მოდას. სოციალური მეცნიერებები მოდას განიხილავს როგორც ცვლილების წყაროს, ეკონომიკურ ფენომენად და ინდივიდის გარე სამყაროსთან ურთიერთობის საშუალებად. თითოეული ზემოთ ხსენებული მიდგომა და შეხედულება, ვფიქრობ, კრიტიკული მნიშვნელობისაა და ერთგვარ ნიადაგს ქმნის მოდის სიღრმისეული შესწავლისათვის.

მოდა არჩევანია, ხოლო ადამიანი მაშინ არის თავისუფალი თუ ის არჩევანშიც თავისუფალია. ჯოშუა მილერის ნაშრომი ,,მოდა და დემოკრატიული ურთიერთობა'',

სწორედ ზემოთ ხსენებული შეხედულების გამომხატველია. მოდა ემყარება ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორიცაა თანასწორობა, ინდივიდუალიზმი და პატივისცემა (Miller, 2005). მილერის თანახმად, მოდას აქვს საშუალება წამოიწყოს დიალოგი პოლიტიკურ თემებზე, რაც პირველი ნაბიჯია ნებისმიერი ცვლილების მოსახდენად (Miller, 2005). ავტორის შეხედულება განსხვავებული და საყურადღებოა, რადგან მოდის შესახებ არსებული ანალიზი და დოკუმენტები ძალიან იშვიათად თუ ეხება მის პოლიტიკურ მნიშვნელობას. მილერის ნაშრომი მოდის ანალიზისათვის კრიტიკულ დეტალებზე აკეთებს აქცენტს. მოდას ის კულტურის ნაწილად მიიჩნევს, რაც გავლენას ახდენს ადამიანების პოლიტიკურ ურთიერთობაზე. მისი ნაშრომი იმ ერთეულებს შორისაა, რომლებიც მოდას პოლიტიკური ცვლილებებისა თუ სტაბილურობისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ფილოსოფიის მიერ მოდის შესწავლა და მასთან ურთიერთობა იშვიათია. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები თუ თანამედროვე დროის ფილოსოფოსები იშვიათად ან საერთოდ არც ეხებიან მოდას და მის მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილია (Irons, 2013). მე-20 საუკუნემდე მოდის კრიტიკული და თეორიული ანალიზი ფაქტობრივად არ არსებობდა, ვებლანი, სიმელი, ვიშერი იმ თეორეტიკოსების მცირე ნაწილია, რომლებმაც სწორედ ამ პერიოდში მოდა სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენად გაანალიზეს (Irons, 2013). ფილოსოფიური მიდგომა ადამიანის მახასიათებლებზე აკეთებს აქცენტს და მის კავშირზე მოდასთან, მაგალითად იმანუელ კანტი მოდას უწოდებდა ,,იმიტაციის კანონს''. ადამიანს აქვს მიდრეკილება შეედაროს მასზე უფრო ,,მნიშვნელოვან'' ადამიანს, რათა მოახდინოს მისი საქციელის იმიტაცია (Irons, 2013). რა თქმა უნდა, ფილოსოფიური შეხედულება ადამიანის პოზიტიურ და ნეგატიურ მიდრეკილებებს განიხილავს ყველა ჭრილში იმისათვის, რომ მოდის ფენომენი ახსნას. როგორც უკვე ვახსენე, მოდის მიმართ სხვადასხვა მეცნიერებების ინტერესი უფრო მეტად იზრდება და სწორედ ეს ხდის შესაძლებელს მოდის კავშირის დადგენას ადამიანის ცხოვრებასთან. ხელოვნების სხვადასხვა დარგები ყოველთვის იყვნენ ცვლილების საწინდარი და ცნობიერების ამაღლების საშუალება, ვფიქრობ რელევანტური იქნება თუ მოდასაც ამ მნიშვნელობას და დატვირთვას მივანიჭებთ. მას აქვს რესურსი, რომ

გახდეს სოციალური პროგრესისა და ცვლილების წყარო (Finkelstein, 1998). ტანსაცმელს აქვს საშუალება არტიკულაცია მოახდინოს ნებისმიერი შეხედულების/დამოკიდებულების (Finkelstein, 1998). მოდა შეგვიძლია პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის აღსაწერად გამოვიყენოთ, მაგალითად ჯორჯ სიმელი ამბობდა, რომ მოდა შეიძლება იყოს საზომი ცივილიზაციის პროცესისა (Finkelstein, 1998). მოდა პირდაპირი მნიშვნელობით არის იმ მდგომარეობის ანარეკლი, რაც სახელმწიფოში და ზოგადად, მსოფლიოში არსებობს. ეს ვრცელდება არა მხოლოდ სოციალურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, არამედ ეკონომიკაზეც. მოდის მნიშვნელობა და მისი როლი ეკონომიკაში ბევრად უფრო ადვილად შესამჩნევია, ვიდრე მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. მოდა გლობალური ეკონომიკის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც სხვა ნებისმიერი მიმართულება. თუმცა, იმისათვის, რომ უფრო მეტად გასაგები იყოს მისი მნიშვნელობა უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირი და ცენტრალური ეკონომიკა, რომელსაც ის ეფუძნებოდა. მოდის განვითარება და ფუნქცია დასავლურ და საბჭოთა სამყაროში განსხვავებული იყო, მოდა წარმოადგენდა ბუნებრივ მოვლენას, რომლის გათვალისწინებას კომუნიზმმა გვერდი ვერ აუარა (Zhuralev, 2016). სოციალისტი თეორეტიკოსები მოდაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ მის ცვალებად და წარმავალ ბუნებაზე. მათთვის ეს კაპიტალიზმთან არის ასოცირებული და აბსოლუტურად გმობენ ტანისამოსის მხოლოდ იმის გამო გამოუყენებლობას, რომ ის მოდაში აღარ არის. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში მეოცე საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს, რომ მოდა იყო ის რის გარეშეც ცხოვრება ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქალებს არ შეეძლოთ. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირში მოუწიათ ეკონომიკაში მოდის თავისებურებების გათვალისწინება, რაც გულისხმობდა პრაქტიკული და ერთფეროვანი ტანისამოსიდან გადასვლას ისეთ პრუდუქტზე, რომელიც დასავლეთში ბატონობდა. ალბათ, გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სოციალისტურ სამყაროში მოდა და მისი შემქმნელები არ იყვნენ დამოუკიდებელნი და ისინი სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ, მაშინ როდესაც დასავლეთში სულ სხვა მდგომარეობა იყო (Zhuralev, 2016). საბჭოთა კავშირში მოდა და ჩაცმის სტილი არ ასოცირდებოდა ადამიანის ინდივიდუალიზმის გამომხატველ ფენომენად, არამედ ის იყო მასობრივი

კონტროლისა და უბრალოდ ესთეტიკურობის საგანი. ავტორი გამოყოფს სამ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საბჭოთა მოდაზე: პოლიტიკური იდეოლოგია, ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკა და საზოგადოებრივი აზრი (Zhuralev, 2016). მოდა უნდა ყოფილიყო ,,პოლიტიკურად სწორი'', რაც გულისხმობდა გარკვეული ფერების, რელიგიური და ნაციონალური მიკუთვნებულობის აკრძალვას (Zhuralev, 2016). მიმაჩნია, რომ მოდაში და ადამიანის არჩევანში ჩაიცვას ის, რაც მას თავად სურს ასეთი ფორმით ჩარევა მიუთითებს იმაზე თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის დამახასიათებელი უსიტყვო კომუნიკაციის ეს ფორმა. ალბათ, უცხო არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რაც უფრო ერთფეროვანი და კონტროლირებადი იქნებოდა ადამიანის ცხოვრების ყველა მიმართულება მით უფრო ძლიერი იქნებოდა საბჭოთა კავშირი. სწორედ ამის გამომხატველია ის, რომ მათ მოდა მიიღეს მხედველობაში და ეკონომიკის სასარგებლოდ გამოიყენეს, თუმცა საკუთარი კონტროლის ჩარჩოდან გასვლის საშუალება არ მისცეს. მიუხედავად იმ მოსაზრებისა, რომ მოდა სწრაფად იცვლება და ადამიანის რაციონალური საჭიროებების გამომხატველი არ არის მისი მრავალფეროვანი ფუნქციის განხილვა საპირისპიროს აჩვენებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ტანისამოსისა არის მისი დანახვა იდენტობის ნაწილად. ეს უკანასკნელი კი მას ლიბერალურ ინდივიდუალიზმის და იმ სოციალური ფორმების ნაწილად მიიჩნევს, რომელიც ინდივიდუალური პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან მომდინარეობს (Durham, 2008). ,,მოდა, ასოცირებულია ლიბერალურ სუბიექტად დემოკრატიისა''- წერს დებორა დურჰამი საკუთარ ნაშრომში. მის მიერ შექმნილი ნაშრომი ეხება მოდის, როგორც დემოკრატიის ნაწილის განხილვას. ავტორის ნაშრომი პოლიტიკისა და მოდის ურთიერთქმედების კუთხით ძალიან მნიშვნელოვან აქცენტებზე ამახვილებს ყურადღებას. დამოუკიდებელი ინდივიდის იდეა, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად ფიქრი და არჩევანის გაკეთება დემოკრატიის იდეალი და წინამძღვარია. მიიჩნევა, რომ ადამიანები მოდას იყენებენ პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის დემონსტრაციისათვის, რაც ინდივიდუალიზმისა და იდენტობის იდეას გარკვეულწილად ჩრდილავს. იგივე იდეა

ჰქონდა განვითარებული თორსტეინ ვებლანს. მას მიაჩნდა, რომ ადამიანები ჩაცმას იყენებენ მაღალ ფენასთან ასოცირებისათვის (,,აშკარა მოხმარება'') (Durham, 2008).

მოდა ხშირად აღქმულია როგორც განსხვავებული მოვლენის და პერიოდების შედეგად და ილუსტრაციად, ხოლო ფრანგი თეორეტიკოსი გილ ლიპოვეცკი მიიჩნევს, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდში და ერთხელ ჩამოყალიბდა (Porter & Zerilli, 1996). ავტორის ნამუშევარი ინდივიდუალიზმის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ასევე ვხვდებით გენდერული ნიშნით მოდაში არსებული განსხვავებების განხილვას, რაც მამაკაცებისა და ქალების განსხვავებულ ჩაცმულობას გულისხმობს. მნიშვნელოვანია ავტორის მოსაზრება, რომ მოდა არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკას და მატერიალურ ფაქტორებს ეფუძნებოდეს. სოციალური დინამიკა და სიმბოლიკა მოდის შესწავლაში კრიტიკულ როლს ასრულებენ, თუმცა დამოუკიდებლად ვერც ისინი ახერხებენ ისეთი რთული ფენომენის არსის გაგებას, როგორიც მოდაა (Porter & Zerilli, 1996). როდესაც საუბარია მოდის და პოლიტიკის კავშირზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დიზაინერები, რომლებიც ამ ყველაფერს ქმნიან. სწორედ ამ საკითხს ეხება გორდანა ვერონცკას ნაშრომი ,,პოლიტიკური მტკიცებულება''. ავტორი მოდის პოლიტიზებისას დიზაინერების როლზე ამახვილებს ყურადღებას. ამ პროცესის დასაწყისად კი მე-18 საუკუნეს მიიჩნევს, როდესაც ვივიან ვესტვუდმა და ქეთრინ ჰამნეტმა საკუთარი პროვოკაციული დიზაინები მოირგეს (Vrencoska, 2009). მაგალითად, ჰამნეტი მარგარეტ ტეტჩერს შეხვდა მაისურით, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა ,,58 %-ს არ უნდა სიკვდილი''. ეს მაისური მისი კოლექციის ნაწილი იყო, რომლის სახელწოდებაც იყო ,,აირჩიე სიცოცხლე'' (Vrencoska, 2009). როგორც ჩანს, დიზაინერები არც წინა საუკუნეებში ერიდებოდნენ საკუთარი სუბიექტური შეხედულებების გამოხატვას პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

1.2 მოდა, როგორც პოლიტიკური სემიოტიკის საგანი

წინამდებარე თავში განხილულია მოდის სხვადასხვა იდეოლოგიები და თეორიები, რომლებიც ცდილობენ მისი რაობის, შინაარსის და მიზნის დადგენას.

წარმოდგენილი შეხედულებებიდან არცერთი მათგანი არ უთმობს ყურადღებას მოდის იმ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც რეალურად მისთვის უმთავრესია. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე სემიოტიკის მიერ მოდის ანალიზი გამომეყო ცალკე და მისთვის ერთი თავი მიმეძღვნა. სემიოტიკამ მოდის შესწავლისას აღმოაჩინა მისი გადაკვეთა სოციალური თეორიის პოსტულატებთან. ნაშრომი ,,მოდა: თამაში სოციალური მნიშვნელობისა, როგორც ცინიკური სტრატეგია მოხმარებისა'' მოდას განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ სემიოტიკურ გამოხატულებას (Petrenko, 2015). აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოდის ინდუსტრია ისტორიული დინამიკისა და სოციალური მოვლენების არტიკულაციას ახდენს. ტრადიციული თვალსაზრისით მოდა ხელოვნებასთან, ეკონომიკასთან და პოლიტიკასთან გადაკვეთაში არსებობს, ხოლო დღესდღეობით, თანამედროვეობაში მის შესასწავლად აუცილებელია ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენება (Petrenko, 2015). ზემოთ ხსენებული ნაშრომი მიუთითებს მოდის არავერბალურ ფუნქციაზე, როგორც ერთგვარ კოდად კომუნიკაციის დროს (Petrenko, 2015). ვფიქრობ, რომ ეს ნაშრომი განსხვავებულია, რადგან მოდის მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას აქცევს განხილვის საგნად. მოდის მთავარი ფუნქცია არის ადამიანებამდე რაღაც გარკვეული შეხედულების, ემოციის და გრძნობის მიტანა, როგორც პოლიტიკურ ისე სხვა ნებისმიერი სოციალური მოვლენის შესახებ. ამ ყველაფერს კი ის სწორედ სიმბოლოების საშუალებით ახერხებს- ამ შემთხვევაში კი სიმბოლო არის ტანსაცმელი. შესაბამისად, მოდა იგივეა, რაც არავერბალური კომუნიკაცია.

1.3 მოდა, ომი და ტერორიზმი

მოდა და მისი ისტორია განხილულია სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირში, თუმცა მიმაჩნია, რომ ტერორიზმის, რომელიც თანამედროვე სამყაროს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ომის, რომელიც ადამიანის თანადროულია, მეშვეობით გაანალიზებული მოდა და მისი გავლენა პოლიტიკურად მნიშვნელოვან თემებზე კიდევ უფრო მეტ სიახლეს და სიცხადეს შემოიტანს ნაშრომში. სწორედ ომის და სამხედრო ტანსაცმლის გავლენას ეხება ნაშრომი ,,ომი და მშვიდობა: პოლიტიკური შეხედულებები და როგორ გავლენას ახდენს სამხედრო სტილი მოდაზე''. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში,

როდესაც მასში სხვადასხვა სახელმწიფოები იყვნენ ჩართულნი, სამხედრო უნიფორმა იყო ყველასთვის ერთნაირი (Topper, 2008). უნდა აღინიშნოს, რომ ტანსაცმელი იყო შენიღბვის საშუალება, რაც სამხედროებს ეხმარებოდა მტრებს დამალოდნენ. ამ პერიოდში სამხედრო მოვლენებით შთაგონებული ტანსაცმელი ძალიან პოპულარული გახდა და ასევე შეიქმნა ,,თრენჩი''. მეორე მსოფლიო ომის დროს ტანისამოსი შეიცვალა და აქცენტი გადავიდა უფრო მეტად ტყავზე და შალზე. ადამიანების ყოველდღიურ ჩაცმულობაზე ზემოთ ხსენებული მოვლენები ძალიან დიდ გავლენას ახდენდა. ნაშრომში ტანისამოსის ერთ-ერთი სახეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ეს არის ჟაკეტი. ნებისმიერი ჟაკეტი, რომელიც შექმნილია სამხედრო მიზნისათვის დიზაინერებს ეხმარება საზოგადოებისათვის იგივე შექმნას (Topper, 2008). იდეა, რომელსაც ეფუძნება ჟაკეტის, მოსაცმლის ცენტრალურ საკითხად ქცევა არის ის, რომ ადამიანებს შეუძლიათ ამოიცნონ ,,სამხედრო ჩაცმულობა'' სწორედ მისი საშუალებით. სამოქალაქო ჩაცმის სტილი ადამიანს საშუალებას აძლევს იყოს თავისუფალი და დამოუკიდებლად აირჩიოს ტანისამოსი, რომლითაც ის საკუთარ თავს გამოხატავს. სამხედრო პირებთან ეს ასე არ არის, მათთვის ტანისამოსი პირადი ინტერესების სფერო არ არის და არც დამოუკიდებლები არიან არჩევანში. ეს არის კიდევ ერთი შეხედულება, რომელსაც ნაშრომი ეფუძნება და შემდგომ ავითარებს. ვფიქრობ, რომ ამის ხაზგასმა აუცილებელია, როცა სამხედრო პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ტანისამოსის გავლენას ვიკვლევთ. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ ადამიანები ხედავენ და აცნობიერებენ კავშირს, რომელიც სამოქალაქო მოდასა და სამხედრო სტილს შორის არსებობს (Topper, 2008). გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სამხედრო სტილი და მეინსტრიმული მოდა კორელაციაშია ობიექტური და რეალობის ამსახველია. ამ შეხედულების უამრავი დამამტკიცებელი შემთხვევის გახსენება შეიძლება უბრალო ყოველდღიურობიდან, მაგალითად ქუჩაში უამრავ ადამიანს შეხვდებით, რომლებსაც აცვიათ ჯართან ასოცირებული შარვალი და მოსაცმელი.

ტერორიზმი თანამედროვე სამყაროს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის წარმოშობის მიზეზები და აღმოფხვრის საშუალებები კვლევის პროცესშია. 21-ე საუკუნის

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ტერორისტული აქტი 2001 წლის, 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა. ალბათ, ადამიანებისათვის წარმოუდგენელია თუ როგორ შეიძლება ეს მოვლენა რამენაირად დაკავშირებული იყოს მოდასთან, თუმცა ამ ტერორისტული აქტის მიზეზისა და შედეგის განხილვაში მას ძალიან დიდი როლი უკავია. საინტერესოა ტერორიზმის და კონკრეტულად ზემოთ ხსენებული ტერორისტული აქტის კავშირის განხილვა მოდასთან. სწორედ ამ საკითხს ეხება ნაშრომი ,,მოდის უფლება ტერორიზმის ეპოქაში''. ეს უკანასკნელი ამ ორი მოვლენის კორელაციის დადგენის პროცესში სვამს ორ კითხვას, რატომ იყო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი 11 სექტემბრის შემდგომ მოდის მოხმარების ,,ნორმალურ'' მდგომარეობაში დაბრუნება და როგორ უკავშირდებოდა მოდა დემოკრატიულ უფლებებს ამ ისტორიული მოვლენის დროს (Pham, 2011). ამერიკული პრესა მოდის ფენომენს ძალიან ოსტატურად იყენებდა. მოდა, ამ პერიოდში, წარმოჩინდა როგორც სიმბოლო დემოკრატიისა, ხოლო ბურქა პრესაში მოხსენიებული იყო, როგორც ანტიდემოკრატიული და ანტიცივილიზაციის სიმბოლო. ნაშრომში ბურქა გამოხატავს ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის დემოკრატიული და ამერიკის საზოგადოების განვითარების დონეს მკვეთრად ჩამორჩება. თუ მოდა გახდა დემოკრატიის და თავისუფლების სიმბოლო, მაშინ ბურქა იყო ექსტრემისტების ინსტრუმენტი და პოლიტიკური ჩაგვრის შედეგი (Pham, 2011). ნაშრომში მოცემულია ცნობები, რომელიც მიუთითებენ რომ 11 სექტემბრის შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები, კონგრესმენები, მერები და პრეზიდენტიც კი (ჯორჯ ბუში) ადამიანებს მოუწოდებენ ჩვეული ცხოვრების რიტმს დაუბრუნდნენ და ამ მოწოდებებში განსაკუთრებული ყურადღება შოპინგს ეთმობა. ცხადია, რომ შოპინგი და მოდის ინდუსტრია ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა იყო და სწორედ ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ეკონომიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. შოპინგი იყო წარმოჩენილი, როგორც წინააღმდეგობრივი ძალა ტერორიზმის წინააღმდეგ. აღნიშნულ მოსაზრებას შეიძლება ძალიან ბევრი ადამიანი და ექსპერტი შეეწინააღმდეგოს, თუმცა მოდის გავლენას და მნიშვნელობას ის ნამდვილად უსვამს ხაზს. ნეოლიბერალური პრინციპი, რომ ეკონომიკის ზრდა იწვევს დემოკრატიის დაცვას და ზრდას ამ მოვლენების საფუძველი

გახდა (Pham, 2011). მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა მოცემული ტერორისტული აქტის სამიზნედ ამერიკის ფინანსური ძალაუფლება გამოაცხადა. მოდის კონსუმერიზმი ესახებოდათ იმ ძალად, რომელიც ადამიანებს დააბრუნებდა ეკონომიკაში. ვფიქრობ, რომ ამ ნაშრომის იდეა უნიკალურია, რადგან კვლევის პროცესში ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელიც ასე მკაფიოდ აქცევს მოდას პოლიტიკის ნაწილად.

თავი II მოდის ინდუსტრია და პოლიტიკური პროცესი

2.1 მოდის ინდუსტრია თანამედროვე სამყაროში

საბაკალავრო ნაშრომის პირველ თავში მოცემულია მოდის ინდუსტრიის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და მოდის სხვადასხვა იდეოლოგიური თუ თეორიული განხილვა. მეორე თავში კი, მსურს ყურადღება გავამახვილო ადამიანის და მოდის კავშირზე თანამედროვე სამყაროში, დიზაინერებზე და მათ მიერ შექმნილ კოლექციებზე, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებების შემცველია.

დღეს, როდესაც მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემები ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილია, არ არსებობს სფერო, რომელიც არ ცდილობს ამ გამოწვევებთან რელევანტური იყოს. მოდა პირდაპირ კავშირშია ადამიანთან, შესაბამისად კავშირშია ყველა იმ გამოწვევასთან, რომელიც ადამიანს აქვს. დღეს მოდის ინდუსტრია თავად არის გარდამტეხ პერიოდში, შესაბამისად ცდილობს ადამიანების და საზოგადოებების განვითარებას ფეხდაფეხ გაყვეს. ქალების უფლებები, ცხოველების უფლებები, ინკლუზიურობა, ინდივიდუალიზმი, თანასწორობა, ბუნებაზე ზრუნვა, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება ის მიმართულებებია, რომელთა ერთგულებაც მოდას დღეს მოეთხოვება. მოდაში არსებობს ცნება ,,კონცეპტუალური მოდა,, რაც მიზნად ისახავს ტანისამოსის საშუალებით ცნობიერების გაზრდას და სოციალურ გამოწვევებთან გამკლავებას თანამედროვე სამყაროში (Vrencoska, 2009). ტრადიციული თვალსაზრისით, რომელიც სოციოლოგიურ ანალიზს ეფუძნება, მოდა საზოგადოების წევრებს შორის მეტოქეობის საბაბი იყო (Genova, 2020). . შემდეგი ნაბიჯი მოდის ანალიზის კუთხით, ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა გადადგეს, როცა მათ ტანისამოსი ადამიანის ცნობიერსა და არაცნობიერს დაუკავშირეს (Genova, 2020). მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კი მოდის ანალიზი ამ ორი მიმართულების მიღმაც დაიწყო და მას შემდეგ ის განსხვავებული მეცნიერების საგანი გახდა (Genova, 2020). თანამედროვე აკადემიური სივრცე უფრო მეტად ცდილობს იკვლიოს და გაანალიზოს მოდის პოლიტიკური ფუნქცია, რა გავლენა აქვს ან შეიძლება იქონიოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებულ გადაწყვეტილებებს პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებზე და რამდენად უკავშირდება ის სხვადასხვა მეცნიერებებს თუ

ინდუსტრიებს (Genova, 2020). მოდის ინდუსტრია დღეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობასთანაა შერწყმული და მისი ცალკე განხილვა არ იქნება ობიექტური. თანამედროვე მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა ეკოლოგიური ზიანი, რომელიც მას სამყაროსთვის მოაქვს. ეკოლოგიისა და მოდის კავშირზე საუბარი მნიშვნელოვანია, რადგან ის ერთ-ერთი მოწინავეა იმ ინდუსტრიათაგან, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მასზე. ქსოვილზე მოთხოვნა იზრდება და შესაბამისად იზრდება მისი უარყოფითი გავლენა გარემოზე, წყალზე და ენერგიაზე (Piera Centobelli, 2022). მოდის ინდუსტრიის ეკონომიკური წილი მოსალოდნელია, რომ 2025 წლისათვის შეადგენს 2.25 ტრილიონ დოლარს, სწორედ ასეთი მასშტაბურობის გამო მას გლობალურ ეკოლოგიურ დაბინძურებაში ძალიან დიდი როლი აქვს (Piera Centobelli, 2022). წლის განმავლობაში მოდის ინდუსტრია წარმოშობს 1.7 ბილიონ ნახშირორჟანგს, აწარმოებს 92 მილიონ გამოუსადეგარ ქსოვილს და მსოფლიოს მასშტაბით მოხმარებული წყლის 20%-ს საჭიროებს (Piera Centobelli, 2022). ნახშირორჟანგის გავრცელება გლობალურ დათბობას უწყობს ხელს და წყალდიდობები, შტორმები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები უფრო და უფრო რეგულარული ხდება (Piera Centobelli, 2022). მოდის ინდუსტრიის მიერ შექმნილი ეკოლოგიური პრობლემები სახელმწიფო და საერთაშორისო რეგულაციის საგანი უნდა იყოს, რადგან მაქსიმალურად შემცირდეს ბუნებისათვის საჭირო რესურსების ფლანგვა. დღეს ცივილიზაციის უმთავრესი გამოწვევაა ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები (გლობალური დათბობა, წყლის გაფლანგვა, ეკოლოგიური დეგრადაცია და ა.შ), რაც გამოწვეულია მოდის ინდუსტრიაში არსებული ფენომენით ,,სწრაფი მოდით'' (Rachel Bick, 2018). ეს უკანასკნელი ყოველწლიურად ძალიან ბევრი კოლექციის შექმნას გულისხმობს, უამრავი რესურსის გაფლანგვის ხარჯზე. პირველყოვლისა უნდა ითქვას, რომ მთავარი პრობლემა ამ სფეროს რეგულირებისათვის საჭირო პროგრამის არ ქონაა. გამომდინარე იქიდან, რომ ტანისამოსი ძირითადად განვითარებად ქვეყნებში იქმნება ადამიანების სამუშაო უფლებების დაცვა და მათი ჯანმრთელობა ძირითადად უგულებელყოფილია. ,,რანა პლაზა'' ერთ-ერთი ქარხანა ბანგლადეშში, სადაც ქსოვილს აწარმოებდნენ სხვადასხვა ბრენდები 2013 წელს დაინგრა (Liu, 2022). ამ კატასტროფას მოყვა

ათასობით მსხვერპლი, ძირითადად ქალები დაიღუპნენ. ისტორიაში ეს შემთხვევა შევიდა, როგორც ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა ტანისამოსის წარმოების საქმეში (Liu, 2022). ეს კონკრეტული შემთხვევა საყურადღებოა, რადგან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევის გამოხატულებაა და მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანებს მათთვის საშიშ გარემოში უწევთ საქმიანობა. ადამიანის ფუნდამენტური უფლება პოლიტიკის საკითხია, შესაბამისად ლოგიკურია რომ პოლიტიკური სფერო მოდის ინდუსტრიაში კარგად იყოს გაცნობიერებული. მნიშვნელოვანი პრობლემაა ტანისამოსის არამდგრადობა, რაც სწორედ წარმოების დროს გაფლანგული რესურსების და უამრავი არამიზნობრივად შექმნილი ტანისამოსის შედეგია (Piera Centobelli, 2022). სწორედ ეს იგულისხმება იმაში, რომ მოდა დღეს განვითარების პროცესშია ის ცდილობს ,,ნელი მოდის'' საშუალებით იქცეს მდგრად და ეკოლოგიურად მეგობრულ ინდუსტრიად (Piera Centobelli, 2022). თანამედროვე მოდის ინდუსტრიის ეს მხარე, ვფიქრობ კრიტიკული მნიშვნელობისაა, რადგან მოიცავს სხვადასხვა ადამიანის ძირეული უფლებების დარღვევას, ეკონომიკურ საკითხს და ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან.

2.2 მოდის ინდუსტრია და სამოქალაქო აქტივიზმი

სამოქალაქო აქტივიზმი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებისა და ცვლილებისათვის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. კონსტრუქციული სამოქალაქო აქტივიზმი ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, რითაც ადამიანები საკუთარ შეხედულებებს აბსოლუტური გულწრფელობით გამოხატავენ. საინტერესოა, რომ სამოქალაქო აქტივისტები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ მოდას, როგორც ინსტრუმენტს მათი სათქმელის გადმოსაცემად (Doerr, 2016). 1950-იან წლებში სამოქალაქო უფლებების აქტივისტები პროტესტის დროს იყენებდნენ დრესკოდს, რომელიც მოიცავდა მათ საუკეთესო ტანისამოსს. იდეა ის იყო, რომ ისინი ისევე როგორც სხვები იმსახურებდნენ თანაბარ და პატივისცემაზე დაყრდნობილ მოპყრობას (Witte, 2021). ეს მოძრაობა მიმართული იყო თეთრკანიანი უპირატესობის მქონე კლასის მიმართ, რომელიც ცდილობდა შავკანიანი ადამიანების იერარქიულ საფეხურზე ყველაზე დაბლა დაყენებას (Witte, 2021). მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა ასეთი

მნიშვნელოვანი საკითხის პროტესტისას მათი შეხედულების გამოსახატად სწორედ მოდა/ტანისამოსი აირჩიეს. აღსანიშნავი დეტალია, რომ მოცემულ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა კანონები, რომლებიც შავკანიან მოსახლეობას და მონებს აიძულებდა ჩაეცვათ მათი კლასის შესაფერისად (Witte, 2021). შემდგომ პერიოდში, ახალი თაობის აქტივისტებმა ტანისამოსის ამ ფორმით გამოყენებას არჩიეს გამოეყენებინათ ტყავის ჟაკეტები, სათვალეები, როლინგები. ეს სტილი იყო თითქოს სამხედრო სფეროთი შთაგონებული, თუმცა ამავდროულად ვიზუალური შეუპოვრობის სიმბოლო სტატუს-კვოს წინააღმდეგ მიმართული (Witte, 2021). ფრანგი რევოლუციონისტები, ეკოლოგისტები, ფემინისტები და სხვა იდეოლოგიების მიმდევრები საზოგადოების პროვოცირებას მოდის საშუალებით ახდენდნენ და ახდენენ (Doerr, 2016). ტრადიციული გენდერული ტანსაცმლის წინააღმდეგ და განათლების მიღების უფლების გასაპროტესტებლად რუსმა ვარვარა სტეპანოვამ შექმნა ქალისათვის და მამაკაცისთვის ერთნაირი პილოტის უნიფორმა, ფრენისა და საბჭოური თანამედროვეობისათვის (Doerr, 2016). შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში ადამიანები აპროტესტებდნენ მარეგულირებელ კანონს, რომელიც მიმართული იყო ადამიანებისათვის მიესადაგებინა გარკვეული ჩაცმის სტილი, რომელიც მათ კლასზე იყო დაფუძნებული (Witte, 2021). მოდა, როგორც ჩანს არც აქტივიზმის და არც პოლიტიკისგან შორს არა თუ თანამედროვე, არამედ წარსულ პერიოდშიც არ ყოფილა. თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდა აქტივისტები სულ უფრო და უფრო მეტად იყენებენ ტანსაცმელს, როგორც საკუთარი შეხედულებების ან რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან ასოციაციის საშუალებად (Genova, 2020). ახალგაზრდები თვლიან, რომ ტანისამოსი ხშირად გამოხატავს პოლიტიკურ მიკუთვნებულობას და ასევე პოლიტიკური კომუნიკაციისათვის იდეალურ საშუალებას წარმოადგენს (Genova, 2020). მემარჯვენე აქტივისტების თანახმად, ტანსაცმლის საშუალებით შესაძლებელია გავიგოთ რომელ იდეოლოგიას, პატრიოტიზმს თუ ნაციონალიზმს იზიარებს ესა თუ ის ადამიანი (Genova, 2020). ამ მოსაზრებას იზიარებენ მემარცხენე აქტივისტებიც და თვლიან, რომ ადამიანი ტანსაცმლით გამოხატავს საკუთარ მსოფლმხედველობას (Genova, 2020). მოდა აქტივიზმში ძალიან დიდ როლს იკავებდა და იკავებს. თანამედროვე მოდა ძირითად შემთხვევაში სწორედ სამოქალაქო აქტივიზმს

მიმართავს იმისათვის, რომ საკუთარი განწყობების დემონსტრირება მოახდინოს. მისი როლი ძალაუფლების სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად პირდაპირი, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ირიბი ხასიათისაა. თანამედროვე სამყაროში ,,მოდის აქტივიზმი'' დაკავშირებულია პოლიტიკურ აქტივიზმთან და მონაწილეობით მიდგომასთან, რათა შთააგონოს ადამიანს ინფორმაციასთან, ცოდნასთან და ინსტრუმენტებთან ერთად, რომელსაც ის იძლევა გახდეს დამოუკიდებელი და აქტიური პიროვნება. ,,მოდის აქტივიზმი'' იმ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს მოიცავს, რომლებიც დაკავშირებულია მოდის ინდუსტრიასთან (Hirscher, 2013).

2.3 დიზაინერების პოლიტიკური კოლექციები

ალექსანდრე მაქვინი ბრიტანელი დიზაინერია, რომელიც ცნობილი მისი პროვოკაციული და ემოციური კოლექციებით გახდა. კოლექციები შთაგონებულია ბრიტანელების მიერ მე-18 საუკუნეში მისი შოტლანდიელი წინაპრების დამარცხებით (Vrencoska, 2009). მან ვერ შეძლო თავი აერიდებინა ნაციონალურ იდენტობას, ამიტომ მის კოლექციებში ხშირად შევხვდებით შოტლანდიურ ტრადიციულ ტანისამოსს. ალექსანდრე მაქვინზე წარსულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომელიც მას პირადად გადახდა თავს იმდენად ძლიერი გავლენა იქონია, რომ მისი კოლექციების უმეტესობა სწორედ ამას ეძღვნება. 1995 წელს მან წარმოადგინა კოლექცია სახელად ,,მთიანი მხარის გაუპატიურება'', რომელიც ბრიტანელების მიერ შოტლანდიელების ,,გაუპატიურებაზეა'' (Vrencoska, 2009). ბრიტანელებისა და შოტლანდიელების დაპირისპირება მისთვის ძალიან რთული გამოწვევა აღმოჩნდა, რომელსაც სწორედ კოლექციებში საკუთარი თავის გამოხატვით უმკლავდებოდა. მან დაამტკიცა, რომ ნაციონალიზმი, იდენტობა და კულტურა კრიტიკული მნიშვნელობის ფენომენებია კოლექტიური საზოგადოებისა და ინდივიდუალური ცხოვრებისათვის. ალექსანდრე მაქვინი ძალიან წარმატებული დიზაინერია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახერხებს საკუთარი სუბიექტური პოლიტიკური განწყობების ჩვენებას.

ჰასან ჩალაიანი არის თურქი მსახიობი, რომელიც საკუთარ კოლექციებს ქმნის პოლიტიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნოლოგიური შთაგონებით (Vrencoska, 2009). ის წარმოშობით კვიპროსელია და მხოლოდ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე გადავიდა საცხოვრებლად ლონდონში. სწორედ ეს ფაქტორები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები (ლტოლვილობა, მიგრაცია, ეთნიკური წმენდა) განაპირობებს მისი კოლექციების შინაარსს. ,,სიტყვების შემდეგ'' კოლექცია, რომელიც ჩალაინმა 2000 წელს წარმოადგინა ეთნიკური და კულტურული თავისებურებებითაა გაჯერებული. აღნიშნული დიზაინერი არ უშინდება ძლიერი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას და მან წარმოადგინა კოლექცია, რომელიც 1974 წელს კვიპროსში ჩატარებულ ეთნიკურ წმენდას უკავშირდებოდა. იმის მაგივრად, რომ გამოეყენებინა ჩვეულებრივი, სტანდარტული ჩვენება მან შექმნა წარმოდგენა ლონდონის ერთ-ერთ თეატრში. 5 ადამიანი, რომელიც ოჯახს განასახიერებს ზის ოთახში, შუაში კი პატარა ყავის მაგიდა დგას. მოდელი შემოდის ოთახში, იწყებს ტანსაცმლის აღებას სკამიდან და მაგიდა ქვედაბოლოდ გარდაიქმნება, ანუ ავეჯი ხდება ტანისამოსი. ჩალაიანის კონცეპტი ამ შემთხვევაში ეყრდნობა მობილურ გარემოს. 2002 წელს მან ისევ წარმოადგინა კოლექცია, რომელიც მის კულტურულ და ეთნიკურ მიკუთვნებულობას ეხმაურებოდა (თურქულს და ბრიტანულს). თავდაპირველად ჩვენება იწყება ტრადიციული თურქული კაბით, ხოლო სრულდება დასავლური, შავი მანტოთი. კოლექცია გამოხატავს მის წუხილს გლობალურ ეპოქაში ტრადიციების ადგილის შესახებ (Vrencoska, 2009).

ბალენსიაგას, კერძოდ კი მისი კრეატიული დირექტორის- დემნა გვასალიას მიერ შექმნილი კოლექციები თანამედროვე მოდის ინდუსტრიის დომინანტურ მოვლენად იქცა. ის არის ერთ-ერთი იმ დიზაინერთა შორის, რომლებიც საკუთარ იდენტობას, წარსულს, ისტორიას უშიშრად და ღიად ახმაურებენ საკუთარ კოლექციებში. დემნა გვასალია არის ქართველი დიზაინერი, წარმოშობით აფხაზეთიდან. ის გარდა იმისა, რომ არის ბალენსიაგას კრეატიული დირექტორი, თავის ძმასთან ერთად ხელმძღვანელობდა ბრენდ ვეტმანს, რომლის 2019 წლის კოლექცია დახუნძლული იყო ქართული კულტურის გამომხატველი ნიშნებით. საქართველოს დროშა, ქართული წარწერები, ჯვარი, საბჭოთა

კავშირის სიმბოლოები მიუთითებს იმაზე, რომ ის გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომელიც მან საქართველოში დატოვა სულ თან დაჰყვება. 2022 წელს მის მიერ გამართული ჩვენება იმის გამოხატულებაა თუ როგორ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესები დიზაინერმა ასახოს კოლექციაში (Friedman, 2022). აღნიშნული ჩვენებისას თითოეული სტუმრის ადგილას მას დატოვებული ქონდა უკრაინის დროშის ფერებით შექმნილი მაისური და ხელნაწერი, სადაც საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობდა (1993 წელს გამოვლილი ომი, რომელიც მისთვის, როგორც საქართველოში დაბადებული ადამიანისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა) (Friedman, 2022). დემნას განსაკუთრებული ყურადღება უკრაინის ომის მიმართ გასაკვირი არავისთვის იყო, რადგან თავადაც იმ ქვეყნის წარმომადგენელია, რომელიც მუდმივად რუსეთის ზეწოლის და ძალადობის ქვეშ არის (Friedman, 2022). ამასთან, სხვადასხვა დიზაინერებმა უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ, რუსული ბაზარს დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს და მის დამპყრობლურ პოლიტიკას ღიად უპირისპირდებოდნენ (Friedman, 2022). დემნა გვასალია მოდას მხოლოდ ესტეთიური სილამაზის ჩვენებისათვის არ იყენებს, მისთვის ამოსავალი წერტილია ადამიანების ყოფა. შესაბამისად, ხელოვნებას ის იყენებს მნიშვნელოვან საკითხებზე არავერბალური კომუნიკაციისათვის.

ვივიან ვესტვუდი მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი გამორჩეული დიზაინერია, რომელიც არასდროს უშინდებოდა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირებას. მისი კოლექციები ყოველთვის პოზიტიური აქტივიზმით ხასიათდებოდა და ის საუბრობდა ისეთ თემებზე, რომლებიც კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი იყო (Council B. F.). ქუჩაში მსვლელობას, ლოგოს შექმნას და კიდევ სხვადასხვა გამოხატვის ფორმებს იყენებდა ის საკუთარი განწყობების გამოსახატად. ადამიანის უფლებები და ეკოლოგიური კრიზისი იყო ის ორი მთავარი თემა, რომელიც მის ბოლო წლის კოლექციებში დომინირებს (Council B. F.).

დიზაინერები უმეტეს წილად საკუთარი იდენტობის, საკუთარი წარსულისა და მსოფლმხედველობის გამოხატვას მოდის საშუალებით არ ერიდებიან. მართალია, იდენტობის წარმოჩენა, კულტურული ასპექტების ჩვენება და პოლიტიკური

მიკუთვნებულობების დემონსტრირება განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ძირითადად დიზაინერები ისეთ პერიოდებს ირჩევენ საკუთარი ისტორიიდან, რომლებიც დაკავშირებულია მძიმე პოლიტიკურ პროცესებთან ან იმ თანამედროვე გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან რომელიც მათი თანადროულია. თანამედროვე მოდა ყოველდღიურად უფრო მეტად მასშტაბური ხდება და იჭრება ისეთ სფეროებში, რომელშიც ადამიანებს ის არ წარმოუდგენიათ. ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების შედეგად, ცხადი გახდა, რომ მოდის ინდუსტრია საკუთარ სიმპათიებს რომელიმე კანდიდატის მიმართ კი არ გამოხატავს, არამედ თავად დემოკრატიის ქომაგად გვევლინება (Friedman, Politics is Back in Fashion, 2020). მოდის ინდუსტრიის დემოკრატიისადმი და მისი ღირებულებებისადმი ერთგულება სწორედ აღნიშნული წლის არჩევნებმა ცხადყო. დიზაინერები უარს ამბობდნენ ეზრუნათ რესპუბლიკელი კანდიდატის მეუღლის ჩაცმაზე და მთელ მათ რესურსს ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერ კამპანიებში დებდნენ (Friedman, Politics is Back in Fashion, 2020). ამასთან, მოდის ინდუსტრია განსაკუთრებული ,,პოლიტიკური'' აქტიურობით ბოლო წლებში გამოირჩევა. საინტერესოა, რომ სხვადასხვა წამყვანი ბრენდების დიზაინერებმა 2020 წელს შექმნეს პლატფორმა ,,მოდა მომავლისთვის 2020'', რომელიც არჩევნებში მონაწილეობის (ძირითადად აშშ-ს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის) მნიშვნელობას და ადამიანების ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა (Friedman, Politics is Back in Fashion, 2020). აღნიშნული პლატფორმა უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან მოიცავდა როგორც სოციალური მედიის საშუალებით სხვადასხვა კამპანიებს, ასევე ფიზიკურ სივრცეში აქტივობებს. შედეგად, მათ მილიონობით ადამიანს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს გაუღვივეს შეგრძნება, რომ პოლიტიკას თავად ქმნიან და მასში მონაწილეობა თითოეული ადამიანის ვალდებულებაა (Friedman, Politics is Back in Fashion, 2020).

თავი III მოდის პოლიტიკური ბუნება და საქართველო

3.1 მოდის პოლიტიკური ფუნქცია

მოდა ყოველთვის უზრუნველყოფდა სიმბოლური, ვიზუალური და მატერიალური ფუნქციის შესრულებას პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გამოწვევების არტიკულაციის, განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში (Titton, 2019). მოდა ადამიანებისათვის მეტწილად დაკავშირებულია საკუთარი თავის გამოხატვასთან, იმის ჩვენებასთან თუ როგორია მათი შინაგანი სამყარო (პირადი ინტერვიუ, 04.12.2023). ცხადია, მოდის ფუნდამენტურ მიზნად თითოეულ ადამიანს ესახება თვითგამოხატვისა და თავისუფლების ფენომენები, თუმცა მისი მრავალმხრივი ბუნების გამო მისი მიზანი ბევრად უფრო მასშტაბურია. ღირებული ფუნქცია და დანიშნულებაა ის, რომ ადამიანები რომლებიც პირდაპირ ვერ ახერხებენ საკუთარი შეხედულების გამოხატვას განსხვავებულ თემებზე, ამას კოლექციებით ახერხებენ (პირადი ინტერვიუ, 04.12.2023). მოდა ადამიანებს ესაუბრება სიმბოლოების ენაზე, დიზაინერმა შესაძლოა საკუთარ კოლექციით უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხზე ირიბად გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება (პირადი ინტერვიუ, 04.12.2023). სამყაროში ცვლილების მიღწევა ისეთ თემებზე, რომლებიც ადამიანებისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. სწორედ, ამიტომ მოდის, როგორც აქტივიზმის განხილვა და მისი შესაძლებლობების წარმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლების ნაწილი ორიენტირებულია საკუთარ კოლექციაში ასახოს ის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც კონკრეტულ დროს არსებობს (პირადი ინტერვიუ, 04.21.2023). ძირითადად ისტორიაში სწორედ ამ მიზნით მართული დიზაინერები შედიან. მაგალითად დიორის, ივ სან ლორენის სტილი ობიექტურად ასახავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც მათი ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი და სწორედ ეს განაპირობებს მათ აქტუალურობას და წარმატებას (პირადი ინტერვიუ, 04.21.23). მოდა გლობალური და კომპლექსური ინდუსტრიაა, სადაც უამრავი დიზაინერი მხოლოდ და მხოლოდ კომერციული სარგებლის მიღებაზეა ორიენტირებული და მათი მიზანი საზოგადოებაში ცვლილების მოტანა არ არის (პირადი ინტერვიუ, 04.19.2023). თუმცა, თანამედროვე სამყაროში მოდა იცვლება და დღეს

ადამიანები მოდის ინდუსტრიისგან ითხოვენ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან შესაბამისობას. ის დიზაინერები, რომლებიც ინდუსტრიის ბირთვს წარმოადგენენ ცდილობენ საკუთარი საქმიანობით ცნობიერება აამაღლონ და მოიტანონ რეალური ცვლილება (პირადი ინტერვიუ, 04.19.2023). მოდა ყოველთვის დაკავშირებული იყო ისტორიასთან, პოლიტიკასთან, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან, პარადოქსია მოდის ამ სფეროებისგან განცალკევებით აღქმა. მოდის ინდუსტრია და დიზაინერების მიერ შექმნილი კოლექციები ყოველთვის გვახსენებს იმ პერიოდებს, რომელიც რომელიმე კონკრეტულმა ქვეყანამ გაიარა, როგორც პოლიტიკურ ისე ისტორიულ კონტექსტში (პირადი ინტერვიუ, 04.12.2023). მაგალითად, დემნა გვასალია საკუთარ კოლექციებში 90-იანებში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად იყენებს, ფაქტობრივად ეს არის მისი მთავარი შთაგონების წყარო (პირადი ინტერვიუ, 04.14.2023). თითოეული ის გარდამტეხი პერიოდი, რომელიც მსოფლიოს წინაშე დამდგარა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მოდაზე და პირიქით, მოდა გვესაუბრებოდა ამ პერიოდების შედეგებზე საკუთარი კოლექციებით. კარლ ლაგერფილდი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო მოდის ინდუსტრიის ხშირად იყენებდა კოლექციებში ქალების უფლებების მხარდასაჭერ სიმბოლოებს (პირადი ინტერვიუ, 04.20.2023). თანამედროვე მოდის ინდუსტრია იმისათვის, რომ რელევანტური დარჩეს აუცილებლად უნდა ეხებოდეს იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც მსოფლიო მასშტაბით არსებობს. მოდა ქვეყნის კულტურის, პოლიტიკის და ეკონომიკის პირდაპირი ასახვაა (პირადი ინტერვიუ, 04.21.2023). მოდა ადამიანის ცხოვრების ისეთივე განუყოფელი ნაწილია როგორც პოლიტიკა, იმის მიუხედავად აღიარებს თუ არა საზოგადოება ამას. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლები მოდას პოლიტიკურ-სოციალურ ფენომენად განიხილავენ, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე საკუთარი შეხედულებები გამოხატოს. მისი ძირეული ფუნქცია და მიზანია ცნობიერება აამაღლოს და მისსავე შესაძლებლობების ფარგლებში დასაბამი დაუდოს ცვლილებას. მოდა, როგორც ხელოვნების ნაწილი მსგავსად თეატრის, მწერლობის, მუსიკის და სხვა

მიმართულებების ყოველთვის ასახავდა/ასახავს პოლიტიკურ რეალობას. მაგალითად, მე-18 საუკუნეში როდესაც ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად, კულტურული და კომერციული შუღლიც არსებობდა ცენტრალური როლი მოდამ, კერძოდ კი აბრეშუმმა შეასრულა (Anishanslin, 2016). ბრიტანეთი საკუთარ ქსოვილს აწარმოებდა მეთვრამეტე საუკუნეში, თუმცა მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ქალები, ფრანგულ აბრეშუმსა და სხვადასხვა ქსოვილებს უფრო აქტიურად იყენებდნენ. შესაბამისად, მათ გადაწყვიტეს აეკრძალათ იმპორტი ფრანგული ქსოვილების რაც იმ პერიოდში ასევე იმ პოლიტიკური დაპირისპირების გამომხატველი იყო, რომელიც მათ შორის არსებობდა (Museum). კაბის ერთ-ერთი სტილი ,,მანტუა'', სწორედ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე შვიდ წლიანი ომის (1756-1763) პერიოდში შეიქმნა. ვაჭრობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ომის პერიოდში აკრძალული იყო, თუმცა როგორც ჩანს იმისათვის, რომ ეს კაბა შექმნილიყო ფრანგული ქსოვილი ბრიტანეთის ტერიტორიაზე გადმოტანილი იყო, როგორც კონტრაბანდა (Museum). საფრანგეთში წარმოებული აბრეშუმი განსაკუთრებული იყო, ამიტომ ადამიანები ხშირად არალეგალურ გზებსაც კი მიმართავდნენ მის მოსაპოვებლად. ტანისამოსის მნიშვნელობის მაგალითად ეს შემთხვევა შესაძლოა უტრირებულად ჩანდეს, თუმცა იმაზე უდავოდ მიანიშნებს რომ როგორც პოლიტიკისა და ეკონომიკის ნაწილი ის ყოველთვის იყო ყურადსაღები. თანამედროვე გაგებით მოდა ინდივიდუალიზმის, სხვადასხვა შეხედულებებისა და იდეების გამოხატვისათვის იდეალური საშუალებაა (Witte, 2021). სამოსის მიმართ მსგავსი შეხედულების დამკვიდრება დაკავშირებულია აღორძინებისა და შუა საუკუნეების ეპოქაში ინდივიდუალიზმის იდეის გაჩენასთან. ამ დროს ტანსაცმელმა შეიძინა ახალი პოლიტიკური დატვირთვა, ის ცენტრალურ/მთავარ ობიექტად ადამიანს განიხილავდა. მოდის იდეის ეს ტრანსფორმაცია თანამდევი იყო სხვადასხვა სფეროებში (ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია) მომხდარი იგივე ცვლილების. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს გახდა ლიბერალური პოლიტიკის ნაწილი (Witte, 2021). მოდის როლი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია, რადგან მან თავისდაუნებურად ადამიანებს უბიძგა საკუთარი ინდივიდუალიზმი ეგრძნოთ და გამოეხატათ თავისუფლად. დღესაც,

თანამედროვე მოდა დასავლურ სამყაროსთან არის დაკავშირებული, მას ამერიკული და დასავლური კულტურა განსაზღვრავს (პირადი ინტერვიუ, 04.19.2023). შესაბამისად მოდის ღირებულებები და დემოკრატიული ღირებულებები იდენტური, ხოლო მათი ფუნდამენტი ერთნაირია. თავისუფლება, თანასწორობა, გარემოზე ზრუნვა, ინკლუზიურობა, ადამიანის უფლებების დაცვა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა თანამედროვე მოდის ღირებულებების მთავარი ნაწილია (პირადი ინტერვიუ, 04.19.2023). როგორც ჩანს, მოდის ინდუსტრია და პოლიტიკური რეჟიმი ერთმანეთის გამოხატულებაა. ძირითადად მოდის ინდუსტრიის შემქმნელი სწორედ დასავლური სამყაროა, ამიტომ გასაკვირი არ არის რომ ის მოდაში იმ ღირებულებითი სისტემის დანერგვას ცდილობს, რომელიც მისთვისაა მისაღები. მოდა პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი რომ არის და პოლიტიკა პოულობს გზას გამოვლინდეს მოდის საშუალებით ეს ლოგიკურია, თუმცა აუცილებელია თვალსაწიერის გაფართოება და ისეთი ფენომენისათვის, როგორიც მოდაა შესაძლებლობის მიცემა - გახდეს პოლიტიკური ცვლილების წყარო.

3.2 მოდის ინდუსტრიის პოლიტიკური ხასიათი საქართველოში

საქართველოში მოდის ინდუსტრია დღესაც ჩამოყალიბების გზას გადის, ლოგიკურია რომ მისი პოლიტიკური ისტორიის ფონზე აღნიშნული ინდუსტრია შეფერხებით დგამდა განვითარებისათვის საჭირო ნაბიჯებს. მოდის, როგორც სოციალური ფენომენის ანალიზი გასული საუკუნიდან იღებს სათავეს, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მისი დაკავშირება განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან (მგალობლიშვილი, 2019). საქართველო მაშინ, როდესაც მოდის ინდუსტრიამ მოიცვა სხვადასხვა მნიშვნელოვანი სფერო და შეიძინა უფრო მასშტაბური მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებობდა (მგალობლიშვილი, 2019). მკვლევრები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებაში, რომელიც დახურულია და არ ხასიათდება ღიაბოთ მოდა საკუთარი ფუნქციის შესრულებას და იმ მნიშვნელობით არსებობას, რომელიც მას აქვს ვერ შეძლებს (მგალობლიშვილი, 2019). შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საბჭოთა კავშირში მოდის ინდუსტრია, როგორც ასეთი უბრალოდ არ არსებობდა. ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სფერო ტანსაცმლის წარმოება იყო მკაცრად კონტროლირებადი სფერო

(მგალობლიშვილი, 2019). ამ რეჟიმში მოდას უნდა აესახა სოციალისტური რეალიზმი, ხოლო პერიოდულად სიახლეების შეტანა ტანსაცმლის წარმოებაში შეადგენდა ძირითადი სტილის ევოლუციის ნაწილს. მოდა საბჭოთა კავშირში აღიქმებოდა, როგორც დასავლური, ბურჟუაზიული ,,ბოროტების'' ნაწილი (მგალობლიშვილი, 2019). საბჭოთა კავშირში მოდა წარმოადგენდა ერთგვარ უძრავ, გაყინულ ობიექტს, რომელიც იყო მკაცრად დადგენილი და სტერეოტიპებით გაჟღენთილი. გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მათი მიზანი იყო შეექმნათ ტანსაცმლის საკუთარი სტილი, კულტურა, რომელიც მკვეთრად განსხვავებული იქნებოდა დასავლურისგან და მისი გავლენისგან (მგალობლიშვილი, 2019). ამასთან, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობისა ის მთლიანად ,,დაცული'' დასავლური გავლენებისგან ვერ იყო და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინება მასაც უწევდა. საქართველოში, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოს ნაწილში, რა თქმა უნდა, მოდის არსებობის ფორმა და ფუნქცია მსგავსი იყო მთლიანად რეჟიმის. თუმცა, მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ საქართველოს (განსხვავებით სხვა საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოებისაგან) ჰქონდა ე.წ გადამამუშავებლის როლი, ანუ დასავლურ მოდის იდეებს აქცევდა საბჭოთა იდეოლოგიისათვის შესაფერისად (მგალობლიშვილი, 2019). გამოდის, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში მოდა წარმოადგენდა სოციალისტური იდეოლოგიის შენარჩუნების და გამყარების ინსტრუმენტს (მგალობლიშვილი, 2019). მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა დაიწყო დაშლა და საქართველო გახდა პოსტსაბჭოთა ქვეყანა მდგომარეობა შეიცვალა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა ნიშნავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას და დემოკრატიის დამკვიდრებას. აღნიშნული გარდამავალი პროცესი შეეხო მოდის ინდუსტრიასაც. სახელმწიფო უკვე აღარ ცდილობს აკონტროლოს აღნიშნული სფერო და იწყება კომერციალიზაცია კულტურის სხვადასხვა მიმდინარეობის, მათ შორის მოდის (მგალობლიშვილი, 2019). მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველო ცდილობს შექმნას თანამედროვე საზოგადოებისათვის მისაღები/სასურველი მოდა. 90-იან წლებში ქართველი ქალების სამოსისათვის დამახასიათებელია ნეიტრალური ტანსაცმელი და არა ფერადი, შესაბამისად ეს ტენდენცია გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ

ცხოვრებისეული და პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც მათ წინაშე არსებობდა და რომელიც გამოიარეს (მგალობლიშვილი, 2019). 2000-იანი წლებიდან იწყება უკვე საქართველოს მოდის ინდუსტრიის დაახლოება სამყაროს მოდის ინდუსტრიასთან. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მომხმარებლური ტენდენციების დანერგვა (მგალობლიშვილი, 2019). სამომხმარებლო რევოლუციამ მომხმარებლობის ინდიკატორად განსაზღვრა სოციალური მდგომარეობა, კულტურა და ა.შ. შესაბამისად, ამან გავლენა იქონია ტანსაცმლის მოხმარებაზეც (მგალობლიშვილი, 2019). 21-ე საუკუნის საქართველოში უკვე მოდა საბაზრო ეკონომიკის ნაწილი ხდება (მგალობლიშვილი, 2019). საინტერესოა და ვფიქრობ, მოდის მნიშვნელობის იდეალური გამომხატველია ჯურჯი ბარტლეტის დამოკიდებულება სოციალისტური მოდის მიმართ. მის მიერ შექმნილი ნაშრომი კონკრეტულად საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზს არ მოიცავს, თუმცა როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილს ეს მასაც ითვალისწინებს (მგალობლიშვილი, 2019). ბარტლეტმა, მარქსის ცნობილი გამონათქვამი ,,აჩრდილი დაეხეტება ევროპაში- კომუნიზმის აჩრდილი'', გადაიტანა საბჭოთა კავშირისა და მოდის ურთიერთობაზე. ის თავისი არსებობის პერიოდში თავად იყო თითქოს ისეთი არასერიოზული სფეროს, როგორიცაა მოდა ,,დევნის'' საგანი (მგალობლიშვილი, 2019). მოდა განასახიერებდა კაპიტალისტური სამყაროს გულს, ხოლო ,,აჩრდილის'' საბოლოო გამარჯვებად მან 1991 წელი მიიჩნია. რა თქმა უნდა, სოციალისტური რეჟიმის ნგრევაზე საუბრისას მოდის პირდაპირ გავლენაზე ის არ ამახვილებს ყურადღებას, უბრალოდ ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული ეკონომიკა ვერ უპასუხებდა მოსახლეობის მოთხოვნას. შესაბამისად უწევდა ლმობიერი ყოფილიყო და გაეთვალისწინებინა დასავლეთიდან შემოსული ინფორმაცია და კულტურის ისეთი სახეობის, როგორიც მოდაა თავისებურებანი (მგალობლიშვილი, 2019). თანამედროვე საქართველოში მოდამ ახალი ღირებულებები შეიძინა, ის გადავიდა უფრო მეტად ,,ქუჩის სტილისა'' და ყოველდღიურობის სფეროში (მგალობლიშვილი, 2019). თუმცა, იმაზე საუბარი თუ რამდენად გამომხატველია მოდის ინდუსტრია თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის რთულია. როგორც ჩანს, მოდის ინდუსტრიის ჩამოყალიბების პროცესში ის

ისეთ შეზღუდულ რეჟიმებშიც კი როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ატარებდა გარკვეულ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ირიბად თუ პირდაპირ ის ყოველთვის იყო გარკვეული ცვლილების წყარო და ასევე დომინანტური იდეოლოგიის გამყარების ინსტრუმენტი. თანამედროვე საქართველოს მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლების შეხედულებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ახალბედა ბრენდები მეტად ორიენტირებულნი არიან მოსახლეობის ეგზისტენციალური პრობლემების ასახვაზე თავიანთ კოლექციებში. მაგალითად, ბრენდი ,,რექლესი'' ახალგაზრდების პრობლემებსა და გამოწვევებზე ცდილობს ტანსაცმლის საშუალებით ისაუბროს. შექმნას შესაძლებლობა ახალგაზრდებისათვის, რომ საკუთარი შეხედულებები იქნება ეს პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი სახის გამოხატონ სიმბოლოს, ანუ ტანსაცმლის საშუალებით (პირადი ინტერვიუ, 04.12.2023).

დასკვნა

მოდა ადამიანის ცხოვრების ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც პოლიტიკა. მისი მნიშვნელობისა და გავლენის შესწავლა საუკუნეები მიმდინარეობდა, თუმცა გასულ საუკუნემდე მისი ანალიზი პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ჭრილში არ ხდებოდა. მოდა ადამიანის თვითგამოხატვის უალტერნატივო საშუალებაა. დიზაინერები, ისევე როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, საკუთარი პოლიტიკური წარსულის, შეხედულებების, დამოკიდებულებების გამოხატვას მოდის საშუალებით ახერხებდნენ/ახერხებენ. ეს უაკანსკნელი კი, მოდის ყველაზე დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მოდის, როგორც ინდუსტრიის ჩამოყალიბება დაკავშირებულა ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების გაჩენასთან, შესაბამისად მოდის ინდუსტრია ამ იდეოლოგიასთან კავშირის გარეშე ვერ იარსებებს. მოდა, როგორც ხელოვნების ინსტრუმენტალიზმის ნაწილი ადამიანებში ემოციების, მოქმედების, გრძნობების გაღვივებას ისახავს მიზნად. მოდა წარმოადგენს გლობალურ ინდუსტრიას, რომელიც საკუთარი მრავალმხრივი დანიშნულებისა და მიზნების წყალობით ფლობს პოტენციალს გახდეს ისეთივე შესასწავლი საგანი პოლიტიკის სფეროსათვის, როგორიც პრესა და თეატრი იყო. მოდის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოხატულებაა საბჭოთა კავშირში არსებული დამოკიდებულება მოდის მიმართ და შესაბამისად საქართველოში მოდის განვლილი გზა. მოდა წარმოჩენილი იყო დასავლური სამყაროს ერთ-ერთი მთავარ ნაწილად და ამ სახელმწიფოებისათვის მისაღები ღირებულებების განსამტკიცებელ ფენომენად. მოდას სამოქალაქო აქტივიზმში ძალიან დიდი ადგილი ეკავა და მოდის ეს ფუნქცია/დანიშნულება თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო მეტადაა გამოხატული.

ნაშრომის მთავარი მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა მოდის პოლიტიკური ეფექტები და ის შესაძლო გავლენა, რომელიც მას აქვს პოლიტიკურ მოვლენებზე. მოდის ინდუსტრია იმ სახელმწიფოს რეჟიმის მსგავსია, რომელშიც ის არსებობს. ამასთან, ის ხშირად გამოიყენება იდეოლოგიის განსამტკიცებლად. ამიტომ, საბაკალავრო ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენდა მოდის პოლიტიკური ენის შესწავლა/ანალიზი.

ნაშრომის პირველი დაშვების თანახმად, მოდის პოლიტიკური ენა გამოხატულია მის უნარში იქცეს პოლიტიკის ინსტრუმენტად და მატრანსფორმირებელ ძალად. აღნიშნული შეხედულება ნაწილობრივ დასტურდება. იმდენად რამდენადაც ადამიანები მას იყენებდნენ/იყენებენ ურთიერთობათა სისტემაში ინფორმაციის გაცვლის ან/და საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისათვის მის მიერ რეალური პოლიტიკური ცვლილების მოტანაზე საუბარი რთულია. თითოეული ის წყარო, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის აკადემიური საფუძვლის შესაქმნელად მიუთითებს მოდის არავერბალური კომუნიკაციის უნარზე და ადამიანების მხრიდან სხვადასხვა მიზნით მის გამოყენებაზე. სწორედ ამ უნარის გამო მას შეუძლია ადამიანთა შორის დიალოგის დაწყება, საერთო ემოციის აღძვრა, მოქმედების სურვილის გაჩენა. თითოეულ წყაროზე და პირისპირ ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით, ცხადია მოდის პოტენციალი როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის, თუმცა იმის დასტური, რომ მოდამ პოლიტიკური ტრანსფორმაცია მოახდინა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

საბაკალავრო ნაშრომის მეორე დაშვების თანახმად, მოდის ეფექტი პოლიტიკაზე ვლინდება აქტივიზმის საშუალებითა და დიზაინერების მიერ შექმნილი კოლექციებით. აღნიშნული მოსაზრება სრულად დასტურდება, როგორც აკადემიურ წყაროებში გამოთქმული შეხედულებების ანალიზის საფუძველზე, ასევე პირადი ინტერვიუების საშუალებით. საუკუნეების განმავლობაში დიზაინერები საკუთარი ,,პოლიტიკური გამოცდილების'' ასახვას კოლექციებში ახდენდნენ. როგორც გამოკითხული რესპონდენტები ამბობენ, მოდაში სახელმწიფოებისა და მსოფლიოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა პირდაპირ არის ასახული, ეს შეიძლება გამოხატული იყოს კოლექციისათვის შერჩეული ფერით, სხვადასხვა აქსესუარებით, ტანისამოსის ქსოვილით და ა.შ. სამოქალაქო აქტივიზმს ძალიან დიდი როლი უკავია მოდის პოლიტიკური ეფექტის დემონსტრირებაში. წარსულიდან მოყოლებული დღემდე მოდა სხვადასხვა შინაარსის სამოქალაქო პროტესტის დროს მედიუმის როლს ასრულებდა საზოგადოებას და ხელისუფლებებს შორის. ადამიანები მოდას/ტანსაცმელს იმდენად ძლიერ იარაღად მიიჩნევდნენ, რომ უამრავი პროტესტის ცენტრალურ ნაწილად სწორედ ის იქცა.

მოცემული ნაშრომი ცდილობს თანამედროვე მოდის პოლიტიკური ენისა და მისი ეფექტების ძირითადი კანონზომიერების შესწავლას, რაც ქართული პოლიტიკის მეცნიერებისათვის ვფიქრობ, გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს. მოცემულ ნაშრომში პოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს, საკითხი ფართო და ინტერდისციპლინური ჭრილითაა წარმოდგენილი და ის კულტურის, ხელოვნების და ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინდუსტრიასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

Anishanslin, Z. (2016 December 28). The Political History of Fashion. United States of America. https://yalebooks.yale.edu/2016/12/28/the-political-history-of-fashion/

Balakrishnan, S (2016). What Made Gandhiji wear only Loincloth or Dhoti. Press information Bureau Governement of India Special Service and Features. https://pib.gov.in/newsite/printrelease.aspx?relid=149833

Barrett, T (1994). Criticizing Art- understanding the contemporary. California: Mayfield Publishing Company. Retrived from: University of Deleware. https://www1.udel.edu/art/rmarquez/416/barrett_criticizing_art.pdf

Bugaeva, L. (2007). Art as Education: Construction and Instrumentalism. Education for a Democratic society, 65-86. https://doi.org/10.1163/9789401203999_008

Corner, F. Why Fashion Matters, Retrived from Google Arts & Culture: https://artsandculture.google.com/story/why-fashion-matters/_QKS0J-OeT7HIA

Council, B. F. Vivienne Westwood: Politics and Fashion. Retrived from Google Arts & Culture: https://artsandculture.google.com/story/vivienne-westwood-politics-and-fashion-british-fashion-council/0AUBcZODtuyELA?hl=en

Delgado, H. (2018 January 22). Fashion's Potential to Influence Politics and Culture. Toronto, Canada. https://theconversation.com/fashions-potential-to-influence-politics-and-culture-90077

Doerr, N (2016). Fashion in Social Movements. In K. Fahlenbrach, M Klimke, & J. Scarloth. Protest Cultures: A Companion Berghahn Books.

Durham, D. (2008). DRESS IDENTITY AND THE DEMOCRATIC SUBJECT: ETHNIC DRESS IN DEMOCRATIC BOTSWANA. Journal of Sociology, 1-21.

Edwards, T. (2011). Fashion in Focus: Concepts, Practices and Politics. Routledge: London and New York. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=IvEtCgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=how+politics+influence+fashion&ots=IFgoQOubFB&sig=h02X3Us8ni7mRJUPtGFDOkGnycw&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Esther, L (2018). The Murderous, meaningless capricies of fashion: Marx on Capital, clothing and fashion. Culture Matters. Birbeck Institutional Research Online. Birkbeck Institutional Research Online (bbk.ac.uk)

Finkelstein, J. (1998). Fashion An Introduction. New York: New York University Press.

Frazer, M. (2023) Activism and Objectivity in Political Research. Perspectives on Politics 1-12. DOI: https://doi.org/10.1017/S1537592723000518

Friedman, V (2020, September 2). Politics is Back In Fashion. Retrived from the New York Times. https://www.nytimes.com/2020/09/02/style/politics-is-back-in-fashion.html

Friedman, V (2022, March 7). Balenciaga Goes Where Fashion Hasn't Dared Go Before. Retrived From New York Times: https://www.nytimes.com/2022/03/07/style/balenciaga-ukraine-valentino.html

Genova, C (2020). Participation with style. Clothing Among Young Activists in Political Groups. Societes 10 (3), 55.

Irons, J (2013). A Critical Inquiry into Fashion. In R. Meinhold, Fashion Myths. Transcript Verlag 9-36. https://www.jstor.org/stable/j.ctv1xxspz.3

Karni, A. (2021, September). A.O.C's Met Gala Dress Triggered Strong Reactions. Retrived from The New York Times: https://www.nytimes.com/2021/09/15/style/aoc-met-gala-dress.html

Lemire, B (2010). The Force of Fashion In Politics and Society: Global Perspective From Early Modern To Contemporary Times. England United Kingdom. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=_wGaNRoHWI0C&oi=fnd&pg=PR7&dq=fashion+in+politics&ots=A-xOQoPpOy&sig=tOxhskYAsNesslxNesEr0pKLGUg&redir_esc=y#v=onepage&q=fashion%20in%20politics&f=false

Liu, R. V (2022) Fast Fashion for 2030. Using the Pattern of the Sustainable Development Goals (SDG) to cut a More Gender- Just Fashion Sector. Business and Human Rights Journal 7 (1), 45-66 https://doi.org/10.1017/bhj.2021.29

Lukes, S (1971). The Meanings of ''Individualism''. Journal of the History of Idelas, 32 (1). 45-66 https://www.jstor.org/stable/2708324?origin=JSTOR-pdf

Machiavelli, N. (1513 December 10). Machiavelli's Letter to Francesco Vettori of 10 December 1513. Retrived from University if Washington: http://dt.pepperdine.edu/courses/greatbooks_ii/gbii20/Machiavelli%27s%20letter%20to%20Francesco%20Vettori%20of%2010%20December%201513.pdf

Maloney, C.B (2019, February). THE ECONOMIC IMPACT OF FASHION INDUSTRY. Retroved from Joint Economic Committee Democrats: https://www.jec.senate.gov/public/index.cfm/democrats/2019/2/the-economic-impact-of-the-fashion-industry

Mazzarella, F. (2022) Fashioning Change: Fashion Activism and its Outcomes on Local Communities. London: Centre for Sustainable Fashion, University of the Arts. https://www.researchgate.net/publication/362508426_Fashioning_Change_Fashion_Activism_and_Its_Outcomes_on_Local_Communities

McCarthy, L. (2017, January 19). A Brief, Visual History of Politics on the Runway, From Vivienne Westwood to Balenciaga. Retrived from Wmagazine: https://www.wmagazine.com/gallery/a-brief-visual-history-of-politics-on-the-runway-from-vivienne-westwood-to-balenciaga

Miller, J. (2005). Fashion and Democratic Relationships. Polity, 1-22. https://www.researchgate.net/publication/248876430_Fashion_and_Democratic_Relationships

Museum, T. V. The Politics of Fashion Eighteenth-centurey British court style. Retrived from: https://artsandculture.google.com/story/the-politics-of-fashion-victoria-and-albert-museum/PwXBWsWOZWqEJw?hl=en

Petrenko, V.V (2015). Fashion The Game of Social Meaning As the Cynical Strategy of Consumption. Procedia- Social and Behavioral Sciences (200). 509- 513. https://www.researchgate.net/publication/282350484_Fashion_The_Game_of_Social_Meaning_as_the_Cynical_Strategy_of_Consumption

Pham, M. H (2011). The Rights of Fashion in the Age of Terrorism. Signs, 36 (2). 385-410. https://www.jstor.org/stable/10.1086/655979

Piera Centobelli, S.A. R (2022). Slowing the Fashion Industry: An all-round perspective. Current Opinion in Green and Sustainable Chemistry 38 (2). https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2452223622000967

Porter, C (1996). The Empire of Fashion: Dressing Modern Democracy by Gills Lipovetsky. Review by Linda M. G Zerilli. Political Theory 24 (3). 556-560. https://www.jstor.org/stable/191930

Rachel Bick, Erika Halsey. (2018). The global environmental injustice of fast fashion. Environmental Health 17 (1). 1-4. https://www.researchgate.net/publication/329938899_The_global_environmental_injustice_of_fast_fashion

Rosa, V. M (2019). FASHION TRENDS: HOW POLITICAL HAPPENINGS INFLUENCE COSTUMETS MINDSETS. TORONTO, OTARIO: Ryerson University. https://rshare.library.torontomu.ca/articles/thesis/Fashion_trends_how_political_happenings_influence_consumers_mindsets/14662236

Roudgar, I. (2021 February) Theory of Political Culture. Retrived from Researchgate: https://www.researchgate.net/publication/349574630_Theory_of_Political_Culture_Full_Version

Rocamora A & A Smelik (eds) (201)6 Thinking Through Fashion: Introduction. Fashion Theory 21 (1).

https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=IvEtCgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=how+politics+influence+fashion&ots=IFgoQOubFB&sig=h02X3Us8ni7mRJUPtGFDOkGnycw&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Gaugele E. & Titton, M. (2019) Letter from Editors: Fashion as Politics: Dressing Dissent. Fashion Theory 23 (6). 615-618

https://www.tandfonline.com/doi/epdf/10.1080/1362704X.2019.1657257?needAccess=true&role=button

Topper, L, (2008). War and Fashion: Political Views and how military style influences fashion. Master's Thesis. Michigan: Eastern Michigan Univesrity. Ypsilanti, Michigan.

Vrencoska, G (2009). Political Statement In Conceptual Fashion: In Annual Review 2. European University- Republic of Macedonia. 867-883.

Witte, M. D (2021, February 10). Dress Codes can reveal social aspirations, political ideals, says Stanford Scholar. Retrived from news.Stanford.edu: https://news.stanford.edu/2021/02/10/dress-codes-reveal-politics-social-change/

Zhuravlev, J. G (2016). Fashion Meets Socialism. Helsinki: Finnish Literature Society SKS.

მგალობლიშვილი, ნ (2019). მოდა როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა პოსტსაბჭოთა საქართველოში. საქართველო თბილისი.

მგალობლიშვილი, ნ (2019). მოდა- საზოგადოება და კულტურა. ქართული კულტურა https://www.geculture.com/2020/09/25/

Hirscher. A (2013, February). Fashion Activism Evaluation And Application of Fashion Activism Strategies to Ease Transition Towards Sustainable Consumption Behaviour. Research Journal of Textile and Apparel 17 (1). 23-38.

დანართი N1

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი მოდის ექსპერტთა და დიზაინერებისათვის

1 როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება მოდა და რა არის მისი მთავარი ღირებულება საზოგადოებისათვის?

2 თქვენი აზრით, რა არის მოდის მთავარი მიზანი?

3 როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი მოდის საშუალებით დიზაინერებმა და ადამიანებმა, ზოგადად გამოხატონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები?

4 როგორ ფიქრობთ, მოდის ინდუსტრიას საკუთარი პოლიტიკური ენის საშუალებით შეუძლია საუბრის დაწყება ადამიანებისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებზე? და თუ კი როგორ ახერხებს ამას?

5 როგორ ფიქრობთ, არსებობს კავშირი და რელევანტურია თუ არა მოდის ინდუსტრია იმ პოლიტიკურ მდგომარეობასთან, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ან/და მსოფლიოში მოცემულ მომენტში არსებობს?

6 შეგიძლიათ გაიხსენოთ ქართველი ან/და საერთაშორისო დიზაინერის მიერ შექმნილი კოლექცია, რომელიც სწორედ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას ემსახურებოდა?

7 თქვენი აზრით, ტანსაცმელს და მოდის ინდუსტრიას შეუძლია რეალური ცვლილებების მოტანა საზოგადოებისათვის თუ მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები უბრალოდ ,,კოლექციებად'' რჩებიან?